პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 51 (5152) | პარასკევი, 4 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ზიზღით იხსენიებს სოციალისტური სამშობლოს გამყიდველებს, ჯაშუშებს, მკვლელებს, შარაგზის ყაჩაღებს, მემარჯვენე-ტროცკისტ არამზადებს.

სიკვდილი ფაშიზმის აგენტებს, სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა სისხლით მოვაჭრეებს!—ასეთია მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა.

მურმანსკიდან 38 წ. 1 მარტს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

შესრულა რა პარტიისა და მთავრობის დავალება სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოდრეიფე ყინულიდან გმირ პაპანინელთა გადმოყვანის შესახებ, ხომალდების „ტაიმირის“ და „მურმანის“ ეკიპაჟი, რომელიც დაბრუნდა მურმანსკში, საბრძოლო ბოლშევიკურ სალამს გითვლით თქვენ, ხალხთა ძვირფას ბელადს. ხომალდების კომანდები სიტყვას გაძლევენ თქვენ, რომ მზად არიან ღირსეულად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

„ტაიმირისა“ და „მურმანის“ პირადი შემადგენლობის დავალებით:
ბარსუკოვი, კოტცოვი, უმოვსკი, პუხოვი.

მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის გულშემზარავი ბოროტმოქმედებანი

გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა საბრალდებო დასკვნა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე. მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მშრომელი კაცობრიობა შეძრწუნდება, როდესაც გაიგებს იმ გაუგონარ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც ჩაიდინეს შეთქმულებმა, რომლებიც საბრალდებო სკამზე სხედან.

არ არის ისეთი დანაშაული, რომელიც არ ჩაედინოთ სამშობლოს ამ მოღალატეებს, რომლებმაც ადამიანის სახის ყოველივე მსგავსება დაჰკარგეს.

თავის დანაშაულებრივ რიგებში „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა“ გააერთიანა ტროცკისტები, მემარჯვენეები, ზინოვიეველები, მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მეფის ოხრანკის პროვოკატორები — მთელი აშმორებული სიბილწე, ყველა გარეწარი, ყველა საზიზღარი მოღალატე. ისინი ჰყიდდნენ სამშობლოს, იყვნენ რა უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში. ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას იმისათვის, რათა მიეღწიათ კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის საბჭოთა ქვეყანაში. მათ უნდოდათ გადაებიჯებინათ გვამების მთებზე და ხალხის სისხლის ზღვაზე თავისი მიზნის მისაღწევად. გამცემლებმა და მოღალატეებმა იცოდნენ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ვერავის დაემყარებოდნენ, და მთელ თავის იმედებს ამყარებდნენ ფაშისტ აგრესორთა „შეიარაღებულ დახმარებაზე. შეთქმულებს ამ დახმარებას დაჰპირდნენ იმ პირობით, რომ სსრ კავშირი დანაწილებული იქნებოდა და მას ჩამოაშორებდნენ უკრაინას, პრიმორიეს, ბელორუსიას, შუააზიის რესპუბლიკებს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი“ იყო ხალხის დამხრჩობთა ბლოკი, მისი ვერაგი, ბოროტი, საზიზღარი მტრების ბლოკი.

მთელი შეთქმულების სათავეში იდგნენ ბუხარინი და რიკოვი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აშმორებულ მემარჯვენე-ტროცკისტულ იატაკქვეშეთს. მათი უშუალო მითითებებით ეწყობოდა დივერსიული აქტები, ტარდებოდა მავნებლობა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის სულ სხვადასხვა დარგებში, ეწყობოდა ტერორისტული აქტები. ისინი უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული იუდა ტროცკისთან, უთანხმებდნენ მას ყველა თავის დანაშაულებრივ მოქმედებას.

აურაცხელი უბედურება მოჰქონდათ ხალხისათვის მემარჯვენე-ტროცკისტ შეთქმულებს. ჯაშუში ჩერნოვი და მისი კომპანია სპობდნენ პირუტყვს, აწყობდნენ მავნებლობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, ყოველნაირად ისწრაფოდნენ, რომ გაეუბედურებინათ კოლმეურნე, შეემცირებინათ მოსავალი, შეემცირებინათ შრომადღის ღირებულება. ჯაშუში გრინკო და მისი დამქაშები ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას საფინანსო პოლიტიკის დარგში, ცდილობდნენ შეესუსტებინათ საბჭოთა მანეთი, ავვიანებდნენ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემას, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ შემნახველი სალაროების საქმიანობაში. ჯაშუში და მეფის ოხრანკის ძველი პროვოკატორი ზელენსკი და მისი ბანდა, რომლებიც კოოპერაციაში მოქმედებდნენ, განზრახ აფერხებდნენ გასაღლიანი საქონლის გაგზავნას სოფლად, იტაცებდნენ სახელმწიფო სახსრებს.

მემარჯვენე-ტროცკისტ შეთქმულთა ყველა ამ მავნებლური მოქმედების მიზანი ნათელია: მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამოწვევა იმისათვის, რათა შემდეგ უფრო წარმატებით გაეშალათ თავიანთი საზიზღარი მუშაობა.

ხალხის ეს უბოროტესი მტრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ზიანი, მეტი ვნება მიეყენებინათ ხალხის მასებისათვის, შეელახათ მშრომელთა ინტერესები, ჩაეშალათ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებანი, რომლებიც მუდამ მიმართულია მშრომელი მასების კეთილდღეობის ზრდისაკენ.

გამოძიებამ ამომწურავი სიცხადით დაადასტურა, რომ ტროცკისტთა და მემარჯვენეთა გულშემზარავი დანაშაულობანი მათთვის შემთხვევითი არ იყო. ახლა უცილობლად დადასტურებულია, რომ ბუხარინმა და მისმა ხელქვეითებმა ეგრეთწოდებულ „მემარცხენე“ კომუნისტთა რიცხვიდან ჯერ კიდევ 1918 წელს ესერებთან ერთად, ტროცკის მონაწილეობით, მოაწყეს შეთქმულება ლენინის წინააღმდეგ. უცილობლად დამტკიცებულია, რომ ესერი-ქალი კაპლანი, რომელმაც ლენინს ესროლა, მოქმედებდა არა მარტო ესერების, არამედ აგრეთვე ბუხარინის — „მემარცხენე“ კომუნისტების ლიდერის — მითითებით. „მემარცხენე“ ესერების პარტიის ც. კ-ის ყოფილმა წევრმა კარელინმა, ლაპარაკობდა რა „მემარცხენე“ კომუნისტებთან და კერძოდ ბუხარინთან მოლაპარაკების შესახებ, აჩვენა: „ბუხარინის წინადადება იყო — არ შევჩერებულიყავით მთავრობის დაპატიმრებაზე, არამედ გაგვეტარებინა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელების და, პირველ რიგში, ლენინისა და სტალინის ფიზიკური მოსპობა“.

ძნელია ორპირობისა და ვერაგობის უფრო საშინელი მაგალითის პოვნა კაცობრიობის ისტორიაში!

გამოძიებით აგრეთვე უცილობლად დამტკიცებულია, რომ იუდა ტროცკი უკვე 1921 წლიდან იყო გერმანიის დაზვერვის აგენტი, ხოლო 1926 წლიდან აგენტი ინგლისის დაზვერვის — „ინტელიჯენს-სერვისისაც“. ნაცადი ჯაშუში მემარჯვენე-ტროცკისტული შეთქმულების სათავეში! მოღალატეთა გარეწართა და არამზადათა ღირსეული მეთაური!

ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის ბანდის მიერ ჩადენილ გულშემზარავ ბოროტმოქმედებათა ჯაჭვი ჭეშმარიტად გრანდიოზულია.

ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ეჟოვის წინააღმდეგ. ტროცკისტ - ბუხარინელმა არამზადებმა შესწყვიტეს მშვენიერი უმწიკვლო სიცოცხლე მგზნებარე რევოლუციონერ-ბოლშევიკის სერგეი მირონისძე კიროვისა. მათ ავაზაკურად მოჰკლეს ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე მენჟინსკი — ფოლადის ჩეკისტი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი. მათ მოჰკლეს პარტიის ერთი უსაყვარლესი ხელმძღვანელთაგანი — ვალერიან ვლადიმერისძე კუიბიშევი. მათ წინასწარ მოფიქრებული გეგმით მოჰკლეს ჩვენი გენიალური მწერალი, ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

მთელი თავისი შავი სისხლით ავაზაკები ვერ მორეცხავენ წმინდა სისხლს საბჭოთა ხალხის დიდი შვილებისას, რომლებიც განგმირა მემარჯვენე-ტროცკისტ შეთქმულთა ხელმა. საუკუნოდ წყეულ იყოს სახელები ჯალათებისა და გამცემლებისა, რომლებმაც სამშობლოს წაართვეს კიროვის, მენჟინსკის, კუიბიშევის, გორკის სპეტაკი სიცოცხლე.

დადგა სამაგიეროს მიზღვევის საათი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წინაშე აგებენ პასუხს მოღალატეები, გამცემლები, მკვლელები, ქურდები, ჯალათები, ჯაშუშები, პროვოკატორები. დამსჯელი ხელი საბჭოთა ხალხისა ოდნავადაც არ შედრკება, რომ მოსპოს საზიზღარი დამნაშავეები, რომლებმაც ხელჰყვეს სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, ჩაიდინეს გულშემზარავი ბოროტმოქმედებანი, თავიანთი ხელები შეიღებეს მრავალრიცხოვან მსხვერპლთა სისხლში.

საბჭოთა სახელოვანმა დაზვერვამ სტალინური სახკომის ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის მეთაურობით გახსნა შეთქმულება, ნიღაბი ჩამოგლიჯა დამნაშავეებს, ჩვენი სამშობლო და საბჭოთა ხალხი გაუგონარ უბედურებებს გადაარჩინა. მსოფლიო ფაშიზმთან ბრძოლაში მოპოვებულია კიდევ ერთი დიდი გამარჯვება.

ამხანაგი სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამბობდა:

„მე ვფიქრობ, ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი მავნებლები და დივერსანტები, რა ბაირაღითაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, ტროცკისტულითა თუ ბუხარინულით, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ისინი გადაიქცნენ პროფესიულ მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდად. გასაგებია, რომ მოგვიხდება ამ ვაჟბატონების ულმობელად განადგურება და აღმოფხვრა, როგორც მუშათა კლასის მტრებისა, როგორც ჩვენი სამშობლოს მოღალატეებისა“.

არავითარი დანდობა ავაზაკებს! დიდი საბჭოთა ხალხი აღსავსეა წმინდათა-წმინდა სიძულვილით საზიზღარი მახინჯებისადმი. ხალხის რისხვის ყოვლისშემმუსვრელი ტალღა აღგვის პირისაგან მიწისა ტროცკისტულ-ბუხარინულ ობს.

საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხები არავის არ მისცემენ არცერთ ნამცეცს იქიდან, რაც მათ მიერ მოპოვებულია სოციალიზმისათვის დიად ბრძოლებში.

დაე ახსოვდეთ ეს ფაშისტ აგრესორებს — ტროცკისტ - ბუხარინელ ავაზაკთა მეპატრონეებსა და მოკავშირეებს.

„პრავდის“ მოწინავე 3/III

დაუნდობლად გავსრისოთ ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები, სიკვდილი სოციალისტური სამშობლოს გამყიდველებს!

აღვგავოთ დედამიწის პირიდან ფაშისტური სიბილწე

ყინულმჭრელ „ერმაკის“ ეკიპაჟისა და საექსპედიციო შემადგენლობის რეზოლუციიდან

ყინულმჭრელ „ერმაკის“ ეკიპაჟის საექსპედიციო შემადგენლობის საერთო კრება პაპანინელებთან ერთად სამარცხვინო დაღს ასვამს სამგზის წყეულ მკვლელებს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“ და მოითხოვს აღგვას საბჭოთა მიწიდან ფაშისტური სიბილწისა, რომელმაც გაჰბედა თავისი სისხლიანი ხელის აწევა სოციალიზმის ისტორიული მონაპოვრებისა და სამშობლოს საუკეთესო და უერთგულესი შვილების წინააღმდეგ. ძნელია სიტყვების პოვნა, რომ გამოვთქვათ მრისხანება და აღშფოთება, რომლითაც გამსჭვალულია თვითეული საბჭოთა მოქალაქე წყეული მოღალატეების, პროვოკატორების, მკვლელების საზარელი ბოროტმოქმედების გაგების შემდეგ. ყველაზე მხეცური ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც ოდესმე იცნობდა კაცობრიობის ისტორია, მკრთალად მოსჩანან იმის წინაშე, რაც განზრახული ჰქონდათ, რაც ჩაიდინეს ამ ბილწმა ქვემძრომებმა, ამ ფაშისტმა ნაძირალებმა, დაქირავებულმა მკვლელებმა, ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდამ.

მოვსპოთ სამშობლოს ყველა გამცემი და მოღალატე უკლებლივ!

სიკვდილი ფაშისტურ ძაღლებს!

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლის დროშა.

„ერმაკი“ 2 მარტი.

მოვსპოთ საძაგელი და მყრალი კვანძი შხამიანი ქვეწარმავლებისა

ლენინის ქალაქის მწერლები ღრმად შეშფოთებულნი არიან საზიზღარ ფაშისტურ ძაღლთა ხროვის, ხალხის მტრების, დივერსანტების, ჯაშუშებისა და მკვლელების გაუგონარი საზარელი ბოროტმოქმედებით „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“.

საშინელ საქმეებს სჩადიოდნენ მსოფლიო ფაშიზმის ეს დაქირავებული აგენტები, მხეცები, ადამიანის სახელით შენიღბულნი, გარყვნილი ნაძირალები — ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და მათი ბანდა, ეს საძაგელი მყრალი კვანძი შხამიანი ქვემძრომებისა.

კაცობრიობის ეს საზარელი ფალსიფიკატები გულდამშვიდებით აწყობდნენ თავის იდუმალ ქვემძრომ სოროებში გამცემლობის, ღალატისა და მკვლელობის უსაძაგლეს გეგმებს.

მათ მოსწყვიტეს საბჭოთა ხალხს მისი საუკეთესო შვილები — მგზნებარე ბოლშევიკი, ჩვენი დიდი სამშობლოს სამეურნეო ძლიერების შთაგონებული მშენებელი — ვალერიან კუიბიშევი, ფელიქს ძერჟინსკის მემკვიდრე — რაინდი და ერთგული დარაჯი რევოლუციისა ამხანაგი მენჟინსკი. მათ წაგვართვეს ჩვენი ქვეყნისა და მთელი კულტურული კაცობრიობის სიამაყე და სახელი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი, მათ წაართვეს მშრომელებს მათი მეგობარი და ბელადი, დაუვიწყარი ტრიბუნი და მებრძოლი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

ჩვენ მოვითხოვთ მკვლელების მთელი ამ ბანდისა და მათი თანამოაზრეების შეუბრალებელ მოსპობას. ბრძოლა ფაშიზმთან მის სიკვდილამდე, ამ საძაგელი გადამდები სენის სრულ მოსპობამდე, რომელიც ხრწნის მსოფლიოს!

ა. ტოლსტოი, ი. ტინიანოვი, მ. ზოშჩენკო, ბორ. ლავრენევი, მ. სლონიმსკი, ა. პროკოფიევი, ა. შაბანოვი, ე. შვარცი, გ. მიროშნიჩენკო, ს. სემიონოვი, ლეონტი რაკოვსკი, ნ. ბრიკინ, მ. ფრომანი,

ლენინგრადი, 2 მარტი.

გავსრისოთ ქვეწარმავალნი

სამშობლოს გამცემლების, ჯაშუშების, მკვლელების „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გუშინ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხნის ყველა საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგები.

მიტინგებს 3500 კაცზე მეტი დაესწრო.

მიტინგებზე სიტყვებით გამოსული სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი აღშფოთებით იხსენიებდნენ სამშობლოს გამცემლების, მკვლელების, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკის, რაკოვსკის და სხვათა სახელებს და მოითხოვდნენ ამ ქოფაკი ძაღლების აღგვას პირისაგან მიწისა, მათ ფიზიკურ განადგურებას, დახვრეტას.

ორმოცდაათმა კაცმა ილაპარაკა მიტინგებზე.

ამწყობ საამქროს მოწინავე სტახანოველმა ამხ. დევსურაშვილმა, ზიზღით მოიხსენია რა ხალხის ეს უსაზიზღრესი მტრები, განაცხადა, რომ ქარხნის სტახანოველები ქვეწარმავალთა ამ ბნელი საქმეების საპასუხოდ კიდევ უფრო გააძლიერებენ ბოლშევიკურ სიფხიზლეს და ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით გააორკეცებენ ბრძოლას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სამჭედლო საამქროს მგლინავთა ბრიგადირმა ამხ. პ. ჟავარენკომ, მოითხოვა რა ხალხის უბოროტესი მტრების ფიზიკურად განადგურება, ბრიგადის სახელით პირობა დადო, რომ 1938 წლის გეგმას შეასრულებს 8 თვის განმავლობაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები: ამხ. გალიბხაერი (სამილე საამქრო), ს. აგაპოვი (საბარგო ვაგონების საამქრო), ვ. ძულიაშვილი (სამჭედლო საამქრო), ა. ასტვაცატუროვი (სამგზავრო სავაგონო საამქრო) და სხვ.

— ჩვენ,—ნათქვამია მიტინგებზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, —კიდევ უფრო განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის მრავალერიან ხალხთა სტალინურ მეგობრობას, უფრო მეტად შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის პარტიის, ჩვენი საყვარელი მასწავლებლისა და მამის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. დავეხმარებით პარტიასა და სახელოვან შინსახკომელებს ყოველგვარი მტრების გამომჟღავნებაში, გავანადგურებთ მათ. განვამტკიცებთ თავდაცვითს მზადყოფნას, უზრუნველვყოფთ საწარმოო მაჩვენებლების განუხრელ ზრდას და ვიბრძოლებთ სტალინური მესამე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ჩვენ მოვითხოვთ ფაშისტური კონტრრევოლუციური ბანდის—„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ სისხლიანი საქმეების ყველა მონაწილეთა დახვრეტას.

მიტინგი მენჟინსკის სახელობის ქარხანაში

მოსკოვი, 2 მარტი (საკდესი). საღამოს, როგორც კი რადიომ გადმოსცა საბრალდებო დასკვნა ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე, მენჟინსკის სახელობის მოსკოვის ქარხნის მუშებმა დაიწყეს მიტინგზე შეკრება.

თავშეუკავებელი მრისხანებით ჟღერდა პარტიულ და უპარტიო მუშების სიტყვები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ჯაშუშთა და მკვლელების ბანდის გაუგონარ დანაშაულობებზე; ბოროტმოქმედნი წარდგნენ ახლა საბჭოთა ხალხის სასამართლოს წინაშე.

მუშებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა ამხანაგ იარუნინის ინფორმაცია „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“. მკვლელების, გამცემლების, ჯაშუშების, დივერსანტებისა და მოღალატეების დაწყებული პროცესის შესახებ — ჩვენ იმ ქარხნის მუშები, რომელიც ატარებს შეუდრეკელი ჩეკისტის ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე მენჟინსკის სახელოვან სახელს, ვინც ვერაგულად იყო მოკლული გამხეცებული მახინჯების, კაცობრიობის ნაძირალების მიერ, — გამოვთქვამთ უღრმეს მრისხანებისა და სიძულვილის გრძნობებს ამ არამზადების მიმართ.

საძაგელი გამცემლები ამზადებდნენ კაპიტალისტური მტაცებლებისადმი ჩვენი მშვენიერი სამშობლოს დამონებას.

მაგრამ ფაშიზმის შეთქმულებმა ვერ შესძლეს თავისი შავი ზრახვების განხორციელება. სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთგული სტალინელი, უდრეკელი ბოლშევიკი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი, გამოააშკარავა და ჩაშალა მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის, უცხოეთის დაზვერვის მიერ დაქირავებულთა გეგმები.

ჩვენ, მენჟინსკის სახელობის ქარხნის მუშები, მოვითხოვთ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისაგან სასჯელის უმაღლეს ზომას ყველა ბრალდებულისათვის! დიდი პროლეტარული მწერალი განსვენებული **ა. მ. გორკი**, რომელიც აგრეთვე გახდა ამ ნაძირალების მსხვერპლი, ამბობდა: „თუ მტერი არ ნებდება, იმას სპობენ“. ჩვენ მოვითხოვთ იმათ მოსპობას, ვინც არ გვნებდება, გაცოფებული მტრების მოსპობას! დაიხვრიტოს ყველა უკლებლივ!“

დახვრეტა ხალხის მტრებს

ცნობამ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საზიზღარი საქმიანობის შესახებ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია თელავის რაიონის მშრომელებში. ყველა საწარმო-დაწესებულებაში გაიმართა მიტინგები, სადაც მოითხოვდნენ ფაშიზმის საზიზღარი აგენტების — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ყველა მონაწილის დახვრეტას.

თელავის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის მუშათა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში სწერია: დიდება მამაც შინსახკომელებს, რომლებმაც მზის სინათლეზე გამოიტანეს სამშობლოს დაუძინებელი მტრების მუხანათობა. დაე იცოდნენ ხალხის მტრებმა, საზიზღარმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა, ფაშისტებმა, რომ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო ჩვენ ცოცხალ კედლად ვართ დარაზმულნი, ჩვენი რისხვა თავს დაატყდება ყველას, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი ბელადების წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ მშრომელთა პირსისხლიანი მტრების აღგვას პირისაგან მიწისა!

საერთო კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, რაიაღმასკომის და სარეწაო არტელების მუშა-მოსამსახურენი ერთსულოვნად მოითხოვენ ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას და სხვათა დახვრეტას.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგზე აგიტატორი ამხ. შირკინი კითხულობს სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ საქმის შესახებ.

ფოტო ბუდეშტსკისა და გილგენდორტისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

შეუბრალებლად გავსრისოთ ხალხის მტრები

ჭიათურა, 3 მარტი (საქდესი). მარგანეცის მრეწველობის 6.000 მეტი მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი შეიკრიბა ლენინის, სტალინის, დიმიტროვის, კაგანოვიჩის, ბერიას, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა-მაღაროების სახელდახელო მიტინგებზე. მიტინგების მონაწილეებში უდიდესი აღშფოთება და ზიზღი გამოიწვია ცნობამ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა ჯაშუშურ-მავნებლური, დივერსიული, ტერორისტული, უსაზიზღრესი შავბნელი საქმიანობის შესახებ.

სიტყვებში გამოსულმა სტახანოველმა მუშებმა — გ. მეცხოვრიშვილმა, ს. ლომიძემ, მ. სამხარაძემ, ინჟინრებმა გ. კირკიტაძემ, დ. ზიბზიბაძემ და სხვ. უდიდესი გულისწყრომითა და ხალხის მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილით აღნიშნეს, რომ პირსისხლიანი ფაშიზმის ეს მოსყიდული აგენტები, სამშობლოს გამყიდველები ცდილობდნენ დაემხოთ სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახი, სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში და კაპიტალიზმის მონობის უღელი დაედგათ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მშრომელებისათვის. ეს საზიზღარი ავაზაკები ამ ბინძურ ზრახვების მისაღწევად არაფერს ზოგავდნენ. მაგრამ მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ, მათ დანაშაულზე წაუსწრეს. ისინი მუშათა კლასის დიქტატურის ფოლადის ქუსლით უნდა გაისრისონ.

ჩვენ, მარგანეცის მრეწველობის ერთსულოვანი კოლექტივი, სიტყვას ვიძლევით, რომ უფრო მტკიცედ და მჭიდროდ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი ბელადის — სტალინის გარშემო. ჩვენ, მარგანეცის მრეწველობის მთელი კოლექტივი, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართო გაშლა-განვითარებით გავზრდით დამკვრელთა და სტახანოველთა რიგებს და გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შევასრულებთ პირველი კვარტალის საწარმოო გეგმას.

„ჩვენ მოვითხოვთ ხალხის მტრების უსასტიკესად დასჯას — დახვრეტას. დაუყოვნებლივ გავსრისოთ ხალხის მტრები, ძაღლებს ძაღლური სიკვდილი!“ — ასეთია მარგანეცის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ერთხმად მიღებული რეზოლუციის მოთხოვნა.

მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს მიწა-წყალზე

ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის ქარხნის კოლექტივის რეზოლუციიდან

„მოვისმინეთ რა საბრალდებო დასკვნა ბანდიტების, მკვლელების, ჯაშუშებისა და დივერსანტ-ფაშისტების მიერ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“ დაქირავებულთა საზიზღარი ხროვის საქმეზე, ჩვენ, სერგო ორჯონიკიძის სახელობის დაზგის ქარხნის საღამოს ცვლის მუშები მათ მიერ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათა გამო გამოვთქვამთ ჩვენს განუსაზღვრელ აღშფოთებასა და წყრომას.

ეს საზიზღარი სიბილწე თავის გამძაფრებულ სიძულვილში ჩვენი ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისადმი არავითარ ბინძურ საშუალებას არ ერიდებოდა თავისუფალი საბჭოთა ხალხის დამონებისა და დამორჩილებისათვის. კაცობრიობის საძაგელი ნაძირალები ბითუმად და ცალობით ვაჭრობდნენ ჩვენი სამშობლოთი, რომლის თავისუფლებისათვის ღვრიდნენ თავის სისხლს ხალხის საუკეთესო შვილები.

მათი მხეცური თათები შეღებილია საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილების — კიროვის, კუიბიშევის, მენჟინსკისა და გორკის სისხლით.

საძაგელ ბანდიტებს დანაშაულზე წაუსწრეს. არამზადებს ძვირად დაუჯდებათ საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილების სისხლი. ქვეწარმავალთ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა წმინდა მიწა-წყალზე. საბჭოთა ხალხი შეუბრალებლად გაანადგურებს ყველა თავის მტერს რა ნიღაბსაც უნდა იფარებდნენ ისინი“.

მოსკოვი, 2 მარტი (საკდესი).

სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს

სოხუმის საწარმოებსა და დაწესებულებებში ტარდება მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზეც ზიზღითა და აღშფოთებით ეცნობიან „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ კონტრრევოლუციურ მუშაობას.

2 მარტს მუშათა მიტინგები შესდგა თამბაქოს ფაბრიკაში, ტყავის ქარხანაში, ნავსადგურში და სხვა საწარმოებში. სიტყვებით გამოსულნი—ასატურიანი, მარჩენკო, პეტროვა, ხასაია, ბურლაევი, გადილია, ჩერნიში და სხვ. აღნიშნავდნენ: ფაშიზმის ცოფმორეული აგენტები ანგარიშში მოსტყუვდნენ. არ გამართლდა მათი ზრახვები. სახელოვანმა შინსახკომელებმა მზის სინათლეზე გამოათრიეს ქვეწარმავლები,— კიროვის, გორკის, მენჟინსკის, კუიბიშევის მკვლელები. ჩვენი ერთსულოვანი მოთხოვნაა — დაიხვრიტონ გარეწრები!

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშები თავიანთ რეზოლუციაში სწერენ: ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ შემოვკრბებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ სტალინის გარშემო. ვაშა სახელოვან შინსახკომელებს!

დახვრეტა სოციალისტური სამშობლოს ყველა მოღალატეს!—ასეთია სოხუმის მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

დაუზოგავად შევმუსროთ ხალხის უბოროტესი მტრები

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შორის უდიდესი ზიზღის გრძნობა გამოიწვია ცნობამ სამშობლოს მოღალატეების, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ჯაშუშ-ტროცკისტების, პირსისხლიანი ფაშისტი ქოფაკების: ნ. ბუხარინის, ა. რიკოვის, გ. იაგოდას, ნ. კრესტინსკისა და სხვათა ქვეწარმავალთა უსაზიზღრესი საქმიანობის შესახებ საბჭოთა კავშირში.

— ფაშიზმის პირსისხლიანი ქოფაკები, ხალხის დაუძინებელი მტრები, უცხოეთის დაზვერვის მოსყიდული აგენტები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ სოციალიზმის ქვეყნისათვის, სისხლის მორევში ჩაეხრჩოთ საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, ფეხქვეშ გაეთელათ, დაეჯიჯგნათ და ფაშისტებისათვის მიეყიდნათ ჩვენი მშვენიერი აყვავებული ქვეყანა—დიადი სოციალისტური მონაპოვარი,—განაცხადა მიტინგზე სტახანოველმა მუშამ ვ. ბაღდასაროვმა.— მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ. სახელოვანმა შინსახკომმა ავაზაკებს დანაშაულზე წაუსწრო. დაე იცოდნენ საზიზღარმა მტრებმა, რომ მათ არ დაინდობს საბჭოთა ხალხი, დაუზოგავად გასრესს, როგორც ქვეწარმავალთ.

მიტინგზე სიტყვებით გამოსული ამხანაგები—ს. ამირჯანოვი, ვ. ამირგულოვი, შინგაზდილოვი, კერდიმონი, ბაგრამიანი, ბენაშვილი, ნ. მინასიანი და სხვ. გამოსთქვამენ რა უსაზღვრო ზიზღსა და სიძულვილს ხალხის უბოროტესი მტრების, ჯაშუშების, დივერსანტების მიმართ, ერთსულოვნად სთხოვენ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას დასაჯოს ისინი სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრების—„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ კონტრრევოლუციონერ დივერსანტთა ძირგამომთხრელი მუშაობის საპასუხოდ კიდევ უფრო გავამახვილებთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს და ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ დარაზმულნი მეტი თავდადებით ვიბრძოლებთ 1938 წლის საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

2 მარტის დილის სხდომა

ბრალდებულ ბესონოვის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო ბესონოვ, თქვენ ადასტურებთ თუ არა იმ ჩვენებებს, რომლებიც წინასწარი გამოძიების დროს მიეცით?

ბესონოვი: დიახ, ვადასტურებ.

ვიშინსკი: თქვენ ესერების პარტიაში 1912 წელს შეხვედით?

ბესონოვი: დიახ.

ვიშინსკი: და ამ პარტიაში დაჰყავით...?

ბესონოვი: 1918 წლამდე.

ვიშინსკი: თქვენი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციასთან?

ბესონოვი: ესერული.

ვიშინსკი: ესე-იგი?

ბესონოვი: სხვა ესერებთან ერთად არ ვღებულობდი ოქტომბრის რევოლუციას.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის მიერ მიცემულ კითხვებზე ბრალდებული ბესონოვი აჩვენებს, რომ 1918 წელს მისი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციასთან, კომუნისტურ პარტიასთან კვლავ უარყოფითი რჩებოდა, რომ მისი დამოკიდებულება ბრესტის ზავის დადებასთან უკიდურესად უარყოფითი იყო.

ვიშინსკი: როდის შეხვედით კომუნისტურ პარტიაში?

ბესონოვი: 1920 წელს, მაისში.

ვიშინსკი: როდის დაადექით ტროცკისტული საქმიანობის გზას?

ბესონოვი: მე 1931 წელს ვმუშაობდი სსრ კავშირის ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობაში და სავაჭრო პოლიტიკის განყოფილებას განვაგებდი. იმ მოლაპარაკების პროცესში, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებდა 1931 წელს გერმანიის მრეწველებთან კრედიტების გახსნის შესახებ, მე აღმოვჩნდი ერთერთი ყველაზე აქტიური ფიგურა მოლაპარაკებაში. და ამ ნიადაგზე მჭიდროდ დავუკავშირდი პიატაკოვს, რომელმაც ტროცკისტულ ორგანიზაციაში ჩამაბა.

ვიშინსკი: რა გარემოების გამო შეჩერდა არჩევანი თქვენზე?

ბესონოვი: მე წარმოვადგენდი ერთერთ ყველაზე, მე ვიტყოდი, მკვიდრ ფიგურას ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის შემადგენლობაში.

ვიშინსკი: თქვენ დათანხმდით ამ როლზე?

ბესონოვი: დიახ, მე დავთანხმდი.

ვიშინსკი: იმ დროს თქვენ იცოდით თუ არა, რომ ტროცკისტული ორგანიზაცია პიატაკოვის, როგორც სსრ კავშირში ტროცკის წარმომადგენლის, და თვით ტროცკის ხელმძღვანელობით უკვე ეწევა გარკვეულ შეთქმულობითს კონსპირატიულ ძირგამომთხრელ მუშაობას?

ბესონოვი: დიახ.

ვიშინსკი: თქვენ მაშინ პიატაკოვთან ლაპარაკიდან გაიგეთ, რომ არსებობს ჩამოყალიბებული ორგანიზაცია?

ბესონოვი: დიახ.

ვიშინსკი: ვისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა ეს ორგანიზაცია?

ბესონოვი: პიატაკოვი სრულიადაც არ მალავდა, რომ მთლიანად ორგანიზაცია ტროცკის დირექტივებით ხელმძღვანელობდა.

ვიშინსკი: კონკრეტულად რას გეუბნებოდათ თქვენ პიატაკოვი მემარჯვენეთა შესახებ და ვის ასახელებდა იგი?

ბესონოვი: პიატაკოვი ამბობდა ნაბიჯებს ვდგამთ მემარჯვენეებთან ორგანიზაციული კონტაქტის დასამყარებლადო.

ვიშინსკი: სახელდობრ ვისთან?

ბესონოვი: ბუხარინთან, რიკოვთან და ტომსკისთან.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბუხარინ, შეგიძლიათ თუ არა დაადასტუროთ ბესონოვის ჩვენებანი, რომ ამ პერიოდში თქვენი ჯგუფი ზინოვიეველთა ორგანიზაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა თქვენი მუშაობის შესახებ?

ბუხარინი: ჩემს ჩვენებებში წინასწარი გამოძიებისას მე დაწვრილებით ვილაპარაკე, რომ ზინოვიეველებთან, შემდეგ კი ტროცკისტებთანაც მემარჯვენეთა კონტაქტის დამყარების ცდები წინათაც იყო.

ვიშინსკი: თქვენ, ბრალდებულო ბუხარინ, აგრეთვე რიკოვი და ტომსკი — აწარმოებდით თუ არა მოლაპარაკებას პიატაკოვთან და სხვა ტროცკისტებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებულ მოქმედებათა შესახებ?

ბუხარინი. დიახ.

ვიშინსკი: (ბესონოვს). განაგრძეთ თქვენი ახსნა-განმარტებანი.

ბესონოვი: პიატაკოვმა ამოცანად დამისახა — მომეწყო სისტემატური, მუდმივი კავშირურთიერთობა ტროცკისთან. ამ თემაზე მასთან რამდენიმე საუბრის შემდეგ (ეს იყო 1931 წლის მაისის დასაწყისში) და მისი რჩევით მე პიატაკოვის სარეკომენდაციო ბარათით მოვძებნე ბერლინში ტროცკის შვილი — სედოვი და მისი საშუალებით გადავეცი პიატაკოვის პირველი წერილი ტროცკისადმი.

ვიშინსკი: გვითხარით, სად, როდის, რა დროს და რა გარემოებაში გადაეცით მას წერილი?

ბესონოვი: სედოვთან კავშირურთიერთობის დამყარება მე ყოველი გზით შემეძლო, მაგრამ პიატაკოვის რჩევით, იმისათვის, რომ ეს საქმე არც ისე გამეხმაურებინა, ვისარგებლე მისამართით, რომელიც მას ნაჩვენები ჰქონდა ბერლინის ერთერთ დღის გაზეთში. და ამ მისამართით 1931 წლის მაისის დამლევს პიატაკოვის სარეკომენდაციო ბარათით მოვძებნე სედოვი და მოკლე საუბარი მქონდა მასთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ, შეხვდი რა სედოვს წინასწარ დათქმული წესით — ბერლინის ერთერთ ვაგზალზე, მე მას გადავეცი პიატაკოვის წერილი ტროცკისადმი, ამასთან ერთად გადავეცი პირველი ფულიც, რომელიც მე პიატაკოვმა მომცა.

ვიშინსკი: რა ფული?

ბესონოვი: მე მან მომცა 2 ათასი მარკა სედოვისათვის გადასაცემად სპეციალურად იმ ხარჯებისათვის, რაც დაკავშირებული იყო პირველი წერილების გადაგზავნასთან.

ვიშინსკი: რა ფული იყო ეს?

ბესონოვი: ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს ფული, რომელიც მიცემული ჰქონდა პიატაკოვს, როგორც... მოლაპარაკების კომისიის თავმჯდომარეს.

ვიშინსკი: ისე გამოდის, რომ პიატაკოვი სახელმწიფო ფულებს იპარავდა? იპარავდა ამ ფულს და გზავნიდა ტროცკისტული ორგანიზაციის დასახმარებლად?

ბესონოვი: დიახ, სავსებით მართალია.

ვიშინსკი: თქვენ კი მას ეხმარებოდით ამ საქმეში?

ბესონოვი: დიახ.

ვიშინსკი: ტროცკისტული ორგანიზაციის დაფინანსება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე შემდეგშიც გრძელდებოდა?

ბესონოვი: უეჭოდ.

ვიშინსკი: განაგრძეთ.

ბესონოვი: სედოვთან პირველი შეხვედრის დროს მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ტროცკისთან მუდმივი კავშირურთიერთობისათვის სპეციალური კაცი გამოგვეყო.

ვიშინსკი: ეს სედოვის ინიციატივა იყო?

ბესონოვი: დიახ, ამაზე მე ველაპარაკე პიატაკოვს. ეს მას სავსებით სწორად მიაჩნდა და მალე (ეს იყო 1931 წლის ივნისის დამლევს თუ ივლისის დასაწყისში) გამაცნო ინჟინერ რაიხი, რომელიც იმ დროს ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის შავი მეტალურგიის განყოფილებაში მუშაობდა, — კაცი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ევროპას, კერძოდ, ევროპის მეტალურგიას, ნამყოფი იყო სხვადასხვა ქვეყანაში, ლაპარაკობდა რამდენიმე ევროპულ ენაზე.

ვიშინსკი: ხოლო რაც მთავარია?

ბესონოვი: და რაც უმთავრესია, 1923 წლიდან ტროცკისტი იყო.

ვიშინსკი: თქვენ მას ამ მომენტამდე არ იცნობდით?

ბესონოვი: იგი ზოგჯერ მინახავს სავაჭრო წარმომადგენლობის დერეფნებში.

ვიშინსკი: და აი, თქვენ მასთან, როგორც ტროცკისტთან პიატაკოვმა დაგაკავშირათ?

ბესონოვი: დიახ.

ვიშინსკი: ჰო, ეს ნათელია, ხოლო როდის გადაიქცა რაიხი იოჰანსონად?

თავის შემდგომ ჩვენებებში ბრალდებული ბესონოვი ლაპარაკობს, რომ რაიხი 1931 წელს ტროცკისტების დახმარებით გადაიქცა კარლ იოჰანსონად. ბესონოვი ამბობს, რომ რაიხი 1931 წლის დამლევს თუ 1932 წლის დასაწყისში, როცა ის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი იყო, ტროცკისტების ხელშეწყობით გახდა დანელი და სსრ კავშირში არ დაბრუნებულა.

ვიშინსკი: მერე, ეს რაიხი დიდ როლს ასრულებდა ტროცკისტულ საქმეებზე კავშირურთიერთობის მხრივ?

ბესონოვი: მისი მუშაობა გამოიხატებოდა კორესპონდენციის სისტემატური მოტანით და წაღებით. შემდეგ, იგი აწყობდა შეხვედრებს ტროცკისთან ან სედოვთან, როცა ეს საჭირო იყო.

ვიშინსკი: შეხვედრებს თქვენთან?

ბესონოვი: მე მხედველობაში მაქვს პიატაკოვის შეხვედრა 1932 წელს. შემდეგ მხედველობაში მაქვს კრესტინსკის შეხვედრა ტროცკისთან, რაც 1933 წლის ოქტომბერს მოხდა.

ვიშინსკი: მაშასადამე, 1933 წლის ოქტომბერს, რაიხის დახმარებით, მოწყობილ იქნა კრესტინსკის შეხვედრა ტროცკისთან?

ბესონოვი: როცა კრესტინსკი 1933 წლის ზაფხულის მიწურულს სამკურნალოდ ჩამოვიდა გერმანიაში, იგი დიდხანს დარჩა ბერლინში. ჩემთან მას ორჯერ ჰქონდა საუბარი, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის წევრთა საუბარი. პირველი საუბარი ეხებოდა ტროცკისა და კრესტინსკის შეხვედრის პირობებს.

ვიშინსკი: ვის სურდა ეს შეხვედრა: ტროცკის თუ კრესტინსკის?

ბესონოვი: კრესტინსკის.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ კრესტინსკის ხელი შეუწყვეთ ტროცკისთან შეხვედრის მოწყობაში?

ბესონოვი: კრესტინსკიმ იცოდა, რომ ეს საქმე მე მოვაწყე, მაგრამ როგორ მოვაწყე ეს საქმე, კრესტინსკიმ არ იცოდა.

ვიშინსკი: (კრესტინსკის). ბესონოვს ხვდებოდით? ესაუბრებოდით?

კრესტინსკი: დიახ. ის იყო მრჩეველი სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ბერლინში და იმ დროს საქმეთა რწმუნებულის მოვალეობებს ასრულებდა. მან გამაცნო გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, განწყობილებებს ფაშისტურ პარტიაში, რომელიც იმ დროს ხელისუფლების სათავეში იდგა, მათს პროგრამასა და გეზს სსრ კავშირის მიმართ.

ვიშინსკი: ტროცკისტულ საქმეებზე?

კრესტინსკი: ჩვენ მასთან არ გვისაუბრნია. მე ტროცკისტი არ ვიყავი.

ვიშინსკი: მაშასადამე, ბესონოვი სიმართლეს არ ამბობს, თქვენ კი სიმართლეს ამბობთ. თქვენ მუდამ სიმართლეს ამბობთ?

კრესტინსკი: არა.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბესონოვ, როდის გქონდათ თქვენ საუბარი კრესტინსკისთან ტროცკისტულ საქმეებზე?

ბესონოვი: ბერლინში მქონდა არა პირველი, არამედ მეორე საუბარი. პირველს ადგილი ჰქონდა მოსკოვში, 1933 წლის მაისში. დავბრუნდი რა ინგლისიდან მოსკოვში მთელს სავაჭრო ორგანიზაციასთან ერთად, მე დამნიშნეს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მრჩევლად გერმანიაში. სანამ ამ პოსტს მივიღებდი, მე ხანგრძლივი საუბრები მქონდა პიატაკოვთან და კრესტინსკისთან.

ვიშინსკი: სად ესაუბრეთ თქვენ მას?

ბესონოვი: კრესტინსკის კაბინეტში, საგარეო საქმეთ სახალხო კომისარიატში.

ვიშინსკი: ტროცკისტულ საქმეებზე?

ბესონოვი: დიახ, კრესტინსკიმ მითხრა, რომ პიატაკოვის რეკომენდაციისა და საუბრის საფუძველზე მას საჭიროდ მიაჩნია სავსებით გულახდილად ილაპარაკოს ჩემთან იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახულია ჩემს წინაშე ბერლინში. პიატაკოვს მანამდისაც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ჩემმა მუშაობამ გერმანიაში 1931-32 წლების განმავლობაში, ეჭვს გარეშე, მე, როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის წევრს, გარკვეული პოპულარობა და სიმპატიები შემიქნა გერმანიის მრეწველთა და ნაწილობრივ გერმანიის სამხედრო პირთა გარკვეულ წრეებს შორის, პოპულარობა, რომელიც ახლა გამოყენებულ უნდა იქნას ახალი ამოცანებისათვის. ეს ამოცანები კრესტინსკიმ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: რომ მე ბერლინის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩევლის თანამდებობაზე პირველ რიგში და უწინარეს ყოვლისა ყოველი ღონე უნდა ვიხმარო იმისათვის, რომ შევაფერხო და შეძლებისდაგვარად არ დავუშვა ურთიერთობის ნორმალიზაცია საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ჩვეულებრივ ნორმალურ დიპლომატიურ გზაზე.

ვიშინსკი: ბრალდებულო კრესტინსკი, თქვენ არ გაგონდებათ ასეთი „დიპლომატიური" საუბრები ბესონოვთან?

კრესტინსკი: არა. ჩვენ არ გვქონია ასეთი საუბრები.

ვიშინსკი: ელაპარაკეთ თუ არა თქვენ იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მან საზღვარგარეთ?

კრესტინსკი: რასაკვირველია, ველაპარაკე, რომ იგი უნდა ცდილობდეს შექმნას ნორმალური ურთიერთობა იმ ფარგლებში, რომლებშიაც ეს შესაძლებელია.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბესონოვ, მართალს ამბობს კრესტინსკი?

ბესონოვი: სრულიადაც არა. უფრო მეტიც, ამ საუბრის დროს კრესტინსკიმ დაწვრილებითი ორგანიზაციული დირექტივა მომცა, თუ როგორ უნდა ვიქონიო მომავალში მასთან ურთიერთობა. გარდა ოფიციალური წერილებისა, რომლებითაც გერმანია და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ერთმანეთს მიმართავენ, მე უნდა მქონოდა მიწერ-მოწერა კრესტინსკისთან. და თუ ამ მიწერ-მოწერაში კრესტინსკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის მიმდინარე საკითხებში იგი ამა და ამ თვალსაზრისს ადგია, რომ იგი მირჩევს დავუცადო ამ საკითხში ოფიციალურ დირექტივებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე უნდა ვიმოქმედო მისი „პირადი" თვალსაზრისის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იქნება ოფიციალური დირექტივები. და, ბოლოს, მესამე. კრესტინსკი ტროცკისტული ხაზით და სამსახურის ხაზით თავის უახლოეს თანამშრომელ შტერნთან იმისათვის მგზავნიდა, რომ მისამართები მიმეღო ტროცკისთან კავშირის დასამყარებლად.

ვიშინსკი: (კრესტინსკის) მაშასადამე, იყო ასეთი საუბარი?

კრესტინსკი: არა.

ვიშინსკი: მაშასადამე, ის, რასაც ბესონოვი ამბობს შებრუნებულად უნდა გავიგოთ?

კრესტინსკი: ყოველთვის არა.

ვიშინსკი: თქვენ ამბობდით, რომ „ტროცკისტული ცენტრის შემადგენლობაში მე ფორმალურად არ შევდიოდი". ეს მართალია თუ არა?

კრესტინსკი: მე არ შევდიოდი ტროცკისტული ცენტრის შემადგენლობაში, იმიტომ, რომ ტროცკისტი არ ვიყავი.

ვიშინსკი: არასოდეს?

კრესტინსკი: არა, მე ვიყავი ტროცკისტი 1927 წლამდე.

ვიშინსკი: თქვენ ამბობდით, რომ თქვენ განსაკუთრებულ კონსპირატიულ მდგომარეობაში იმყოფებოდით. რას ნიშნავს ეს — „განსაკუთრებული კონსპირატიული მდგომარეობა"?

კრესტინსკი: ეს რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მე, ვარ რა ნამდვილად ტროცკისტი, ყველა ზომებს ვღებულობ იმისათვის, რომ დავმალო ჩემი ტროცკისტობა.

ვიშინსკი ძალიან კარგი. ხოლო რომ დამალო, საჭიროა უარჰყო შენი ტროცკიზმი?

კრესტინსკი: დიახ.

ვიშინსკი: ახლა თქვენ აცხადებთ, რომ თქვენ ტროცკისტი არა ხართ. იმისთვის ხომ არა, რომ დამალოთ თქვენი ტროცკისტობა?

კრესტინსკი: (დუმილის შემდეგ). არა, მე ვაცხადებ, რომ მე არა ვარ ტროცკისტი.

ვიშინსკი: (როზენგოლცს). თქვენ როგორ ფიქრობთ, კრესტინსკი იყო ტროცკისტი?

როზენგოლცი: იგი ტროცკისტია.

ვიშინსკი: რა საბუთი გაქვთ თქვენ, რომ კრესტინსკი ტროცკისტია და, მაშასადამე, იგი აქ მართალს არ ლაპარაკობს?

როზენგოლცი: ამას ადასტურებს ის მოლაპარაკება, რომელიც მე მქონდა მასთან, როგორც ტროცკისტთან.

ვიშინსკი: როდის გქონდათ ეს მოლაპარაკება?

როზენგოლცი: ეს მოლაპარაკება გვქონდა, დაწყებული 1929 წლიდან 1937 წლამდე.

ვიშინსკი: ბრალდებულო გრინკო, რა იცით თქვენ კრესტინსკიზე, როგორც ტროცკისტზე?

გრინკო: მე ჩემს შეთქმულობითს მუშაობაში კავშირი მქონდა კრესტინსკთან, როგორც შეთქმულ-ტროცკისტთან, როგორც შეთქმულთა მემარჯვენე - ტროცკისტული ცენტრის წევრთან, მეტად სერიოზული ხასიათის საკითხებზე, რომელთა შესახებ მე უნდა მივცე ჩვენება.

ვიშინსკი: მოკლედ შეგიძლიათ სთქვათ რა საკითხებზე. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდაჭერისა თუ მასთან ბრძოლის საკითხებზე?

გრინკო: საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ უცხო სახელმწიფოებთან კავშირის დამყარების საკითხებზე.

ვიშინსკი: თქვენ იცით, დაკავშირებული იყო თუ არა კრესტინსკი უცხოეთის სხვა დაზვერვებთან?

გრინკო: ის დამეხმარა მე კავშირი გამება უცხოეთის ერთერთ დაზვერვასთან.

ვიშინსკი: მაშ კრესტინსკი თქვენ დაგეხმარათ უცხოეთის დაზვერვასთან კავშირის გაბმაში. გესმით თქვენ ეს, ბრალდებულო კრესტინსკი? ეს მართალია?

კრესტინსკი: არა.

ვიშინსკი: თქვენ კი მიეცით ჩვენება, რომ ეს მართალია.

კრესტინსკი: იმის შესახებ, რომ მე დავეხმარე გრინკოს კავშირის გაბმაში?

ვიშინსკი: კიდევ მეტი, რომ თქვენ თვითონ იყავით უცხოელი მზვერავი.

გრინკო: მე მაქვს კიდევ ერთი ფაქტი, რომლის შესახებ აქ მინდა ვსთქვა. ეს არის ის, რომ მე ვეხმარებოდი კრესტინსკის, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილ მოადგილეს, გამოეყენებინა ის სავალიუტო სახსრები, რომლებიც გროვდებოდა კურსის განსხვავების გამო საზღვარგარეთ და რომლებიც მას სჭირდებოდა ტროცკისტების დაფინანსების მიზნებისათვის.

ვიშინსკი: ერთი მითხარით, ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კრესტინსკის ეთხოვა თქვენთვის არ გეწარმოებინათ სავალიუტო ფონდის რევიზია?

გრინკო: მე სწორედ ამაზე ვლაპარაკობ.

ვიშინსკი: გადავიდეთ ახლა ბესონოვზე. ეს რა შეხვედრა იყო მერანში, ვისი ვისთან, როდის?

ბესონოვი: მე უკვე ჩემს ჩვენებაში ვთქვი, რომ 1933 წლის სექტემბრის დამლევს, ბერლინზე გავლისას, კრესტინსკიმ მთხოვა მომეწყო მისი შეხვედრა ტროცკისთან. ამასთან წინასწარ საკითხის განხილვის შემდეგ, თუ სად უნდა მოგვეწყო ეს შეხვედრა, ჩვენ ორივე მივედით ერთსულოვან დასკვნამდე, რომ ამ პაემნის მოწყობა არ შეიძლებოდა არც საფრანგეთში, არც გერმანიაში. მაშინ კრესტინსკიმ შეხვედრის ადგილად დაასახელა ავსტრიის ყოფილი, ხოლო ახლა იტალიის, კურორტი მერანი იტალიის ტიროლში. მე გამოვიწვიე იოჰანსონი, რომელსაც შეეძლო ამ შეხვედრის მოწყობა, მივეცი მას სათანადო დავალება და რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღე მისგან ცნობა, რომ, მიუხედავად სიძნელეებისა, შეიძლება ტროცკის გამგზავრება მერანში. და შემდეგ მე შევიტყე იოჰანსონისაგან, რომ კრესტინსკის შეხვედრა ტროცკისთან მერანში შედგა.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბესონოვ, რაზე გქონდათ ლაპარაკი კრესტინსკისთან შემდეგში.

ბესონოვი: ბერლინზე კრესტინსკის გავლის დროს ის შეეხო იმ ზონდაჟს, რომელიც იმ დროს მოახდინა ჩვენს წრეებში გერმანიის ნაციონალ - სოციალისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელმა როზენბერგმა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტებსა და რუს ტროცკისტებს შორის საიდუმლო შეთანხმების შესაძლებლობის საკითხზე კერძოდ, და უწინარეს ყოვლისა გერმანიისათვის ნედლეულის ბაზის საკითხზე, და ამასთან დაკავშირებით უკრაინის საკითხზე. ამ ზონდაჟის შესახებ მე შევიტყე კრესტინსკის საშუალებით. გამგზავრების დღეს კრესტინსკიმ გამომიძახა კისინგენში. ის ძლიერ აღელვებული იყო ამ ცნობით, თათბირობდა ჩემთან, — თუ რა გვექნა? და ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ როზენბერგის მიერ ჩატარებულ ზონდაჟს მხედველობაში ჰქონდა სწორედ კრესტინსკის ყოფნა ბერლინში, როზენბერგისთვისაც და გერმანიის სხვა მოღვაწეებისთვისაც კრესტინსკის ფიზიონომია საკმარისად ცნობილი იყო.

ამასთან დაკავშირებით კრესტინსკი მთხოვდა დამეჩქარებინა ტროცკისთან მისი შეხვედრის საკითხის გადაწყვეტა, რადგან მიზანშეწონილად ეჩვენებოდა დირექტივების მიღება ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე.

მერანში კრესტინსკისა და ტროცკის მოლაპარაკების ზოგიერთი მომენტი მე თვით კრესტინსკის ინფორმაციიდან ვიცი. იოჰანსონის ინფორმაცია ადასტურებდა ამ პაემანს.

ვიშინსკი: მოჰყევით თქვენი ტროცკისტული არალეგალური საქმიანობის შესახებ უშუალოდ შემდგომ პერიოდებში.

ბესონოვი: მე მინდოდა დამესრულებინა კავშირის გაბმის პუნქტის ორგანიზების შესახებ. კავშირის პუნქტი ორგანიზებულია 1931 წელს, არსებობდა 1937 წლამდე და, როგორც კავშირის ბერლინის პუნქტი, გაჰქრა ბერლინიდან საბჭოთა კავშირში ჩემს გამომგზავრებასთან ერთად 1937 წლის თებერვალში.

ამ ხნის განმავლობაში მიღებულია და გაგზავნილია ტროცკისაგან წერილების დიდი რაოდენობა. იოჰანსონი სწორედ ის პირი იყო, რომელიც პიატაკოვთან ერთად მიემგზავრებოდა ოსლოში და, რომლის სახელიც დამალა პიატაკოვმა, როცა ჩვენებებს აძლევდა სამხედრო კოლეგიას 1937 წლის იანვარში.

ვიშინსკი: თქვენ ვისგან გაიგეთ, რომ იოჰანსონმა მოუწყო პიატაკოვს ოსლოში გამგზავრება და პაემანი ტროცკისთან?

ბესონოვი: თვით პიატაკოვისა და იოჰანსონისაგან.

ვიშინსკი: გვიამბეთ ტროცკისთან შეხვედრის შესახებ, პარიზში 1934 წელს, სახელდობრ რას გავალებდათ ტროცკი და რა გააკეთეთ თქვენ ამ დავალების შესასრულებლად?

ბესონოვი: იოჰანსონის საშუალებით ტროცკისაგან მე მივიღე პატარა წერილი-ბარათი, სადაც იგი გვწერდა მოგვეწყო მისი შეხვედრა გერმანიაში მყოფ ერთერთ ტროცკისტთან, რომელიც მას მიაწოდებდა ინფორმაციას გერმანიაში 30 ივნისს მომხდარი ამბების შესახებ. მე ერთადერთი კაცი ვიყავი, რომელსაც შეეძლო იქ გამგზავრება. 1934 წლის ივლისის დამლევს მე დღის მატარებლით ჩავედი პარიზში და იქიდანაც დღის მატარებლით გამოვემგზავრე.

ტროცკიმ მითხრა, ძალიან კარგად გიცნობთ პიატაკოვის წერილებით და კრესტინსკის ნაამბობითო.

ვიშინსკი: რა ელაპარაკეთ ტროცკის თქვენი ტროცკისტული არალეგალური ამოცანების შესახებ?

ბესონოვი: დიპლომატიურ ასპარეზზე მომუშავე თავის მომხრეებს მან ამოცანად დაუსახა ყოველ ოფიციალურ შეთანხმებათა საბოტაჟის ხაზი, რათა გერმანელთა ინტერესებისათვის მიეცათ სტიმული ოპოზიციურ დაჯგუფებებთან არაოფიციალური შეთანხმებებისადმი. „ისინი ჩვენთან კიდევ მოვლენ", — ამბობდა ტროცკი, რომელსაც მხედველობაში ჰყავდა გესი და როზენბერგი. ის ამბობდა: ჩვენ ამ საკითხში არაფერი გვაქვს მოსარიდებელი, ჩვენთვის შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მართლაც სერიოზული ნამდვილი დახმარება გესისა და როზენბერგის მხრივო. ჩვენ, — ამბობდა ის, — არ უნდა მოვერიდოთ იმას, რომ ფართო ტერიტორიულ დათმობებზე დავთანხმდეთო.

ვიშინსკი: სახელდობრ?

ბესონოვი: ჩვენ დავთანხმდებით უკრაინის დათმობაზე, — ამბობდა ტროცკი, — მიიღეთ ეს მხედველობაში გერმანელებთან თქვენი მოლაპარაკების დროსაც, და ამაზე მე კიდევ პიატაკოვსაც და კრესტინსკისაც მივწერო. შემდეგ ის შეჩერდა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ტროცკისტული ორგანიზაციების მუშაობასთან საბჭოთა კავშირში, ამასთან განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი, რომ მოახლოებული გარდუვალი ომის პირობებში ხელისუფლების სათავეში ტროცკისტების ჩადგომის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დამარცხება ამ ომში.

შემდეგ მან განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი იმ საკითხს, რომ აუცილებელია ბრძოლის სულ უკიდურესი ტერორისტული მეთოდების გაძლიერება. სწორედ აქ წარმოსთქვა მან სიტყვები იმის შესახებ, რომ, რასაკვირველია, მიუტევებელი მანქიობა იქნებოდა, რომ ჩვენ, მისი მომხრეები საბჭოთა კავშირში, ახლა არ გადავსულიყავით სტალინისა და ყველა მის უახლოეს მომხრეთა პირდაპირ მოსპობაზე და თავიდან მოშორებაზე.

ჩემთვის მოულოდნელად ის ამასთან დაკავშირებით შეჩერდა მაქსიმ გორკიზე, დაახასიათა მისი როლი, სთქვა, რომ მაქსიმ გორკის სრულიად განსაკუთრებული გავლენა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ პირველ ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა საზღვარგარეთ; აღნიშნა მისი უაღრესი სიახლოვე სტალინთან და ის, რომ მაქსიმ გორკის მიერ გამოთქმული აზრები სრულიად გარკვევით აშორებენ ტროცკისაგან ბევრ მის მომხრეს ევროპის ინტელიგენციაში, ახლოვებენ მათ პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციასთან. ამასთან დაკავშირებით ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია გორკის თავიდან მოშორება, და ეს პირდაპირ მითხრა. მან სთქვა სწორედ ის სიტყვები, რომლებიც აქ მოყვანილი იყო, რომ, რადაც უნდა დაჯდეს, აუცილებელია გორკის ფიზიკური მოსპობა. ასეთი იყო დირექტივა.

ვიშინსკი: თქვენ იგი გადაეცით?

ბესონოვი: დიახ. მალე ამის შემდეგ, 1934 წლის შემოდგომაზე, მე ვიყავი მოსკოვში და დაწვრილებით გავაცანი პიატაკოვს ამ საუბრის შინაარსი.

ვიშინსკი: შემდეგ?

ბესონოვი: 1936 წლის სექტემბრის უკანასკნელ დღეებში თუ ოქტომბრის პირველ რიცხვებში მე შევხვდი კრესტინსკის მოსკოვში. კრესტინსკიმ, რომელიც ძალიან აღელვებული იყო, მაცნობა: ტროცკისტული ცენტრის საქმეები ძალიან ცუდად არის, გვაქვს მთელი რიგი ჩავარდნები, დაპატიმრებული არიან პიატაკოვი, რადეკი და მთელი რიგი სხვა პირები, გამორიცხული არ არის თვითონ ჩემი დაპატიმრების შესაძლებლობაც და გთხოვთ, როცა ბერლინს დაბრუნდებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოთ ამის შესახებ ტროცკის წერილობითი ცნობაო. ის ამბობდა: თუ მე დამაპატიმრეს, საჭირო გახდება მთელი ორგანიზაციული კავშირურთიერთობა კარახანს გადაეცეს, თუმცა ვერ წარმომიდგენია, თუ კონკრეტულად როგორ შეიძლება ეს გაკეთდესო. მან მთხოვა ორჯერაც კი განმემეორებინა, სწორად გავიგე თუ არა იგი, რომ ის მდგომარეობა, რაც 1936 წლის შემოდგომისათვის შეექმნათ ტროცკისტებს საბჭოთა კავშირში, უნდა დახასიათდეს, როგორც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა, და რომ ტროცკისტების მიერ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასთან მიღწეული შეთანხმება ომის დაჩქარების შესაძლებლობის საკითხში, ომის, რომელიც გააადვილებდა ხელისუფლების სათავეში ტროცკისტების ჩადგომას, რათაც უნდა დაჯდეს დაჩქარებით უნდა გატარდეს.

ბერლინში ჩასვლისას მე ფრიად დაწვრილებით გადავეცი ეს ტროცკის, მივიღე მისგან წერილის პასუხი, რომელიც კრესტინსკის გავუგზავნე.

შემდეგ, ეს იყო 1936 წლის დეკემბერში, შესაძლოა 1937 წლის იანვრის პირველ დღეებში, კრესტინსკისაგან კიდევ მივიღე წერილი ტროცკისათვის. ამ წერილს გადავხედე, მაგრამ მთლად ვერ გავერკვიე მასში, რადგან იგი პირობითი ენით იყო დაწერილი.

ვიშინსკი: ვის მიერ, ვისთვის და როდის იყო დაწერილი ეს წერილი?

ბესონოვი: ეს წერილი დაწერილი იყო 1936 წლის დეკემბერში კრესტინსკის მიერ ტროცკისათვის და მე გადავეცი.

ვიშინსკი: იგი თქვენ გადაეცით?

ბესონოვი: მე იგი გადავეცი იოჰანსონის საშუალებით 1936 წლის დეკემბრის დამლევს და რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე პასუხი ტროცკისაგან.

ვიშინსკი: ხოლო კრესტინსკის წერილს თქვენ იცნობთ?

ბესონოვი: კრესტინსკის წერილი მე წაკითხული მაქვს, რადგან იგი ჩემს სახელზე იყო გამოგზავნილი. ლაპარაკი იყო ამაზე, რომ მდგომარეობა იმგვარად ეწყობა, რომ ტროცკისტები ვერ დაიცდიან სანამ გერმანელები ამოძრავდებოდნენ, და ამიტომ ისინი ითხოვენ სანქციას — გამოვიდნენ ომის გაშლამდე, გერმანელთა გამოსვლამდე, იმ ცენტრის დახმარებით, რომელიც მათ შექმნეს.

ბრალდებულის დაკითხვა თავდება დილის სხდომის დასასრულს.

---

* შემოკლებული სტენოგრამა.

2 მარტის საღამოს სხდომის დღიური

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 2 მარტის საღამოს სხდომა იწყება ბრალდებულის, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ერთერთი ცნობილი მონაწილის, ფაშისტური დაზვერვის აგენტისა და საბჭოთა კავშირის ფინანსების დარგში მავნებლის გრინკოს დაკითხვით.

გრინკო აღიარებს, რომ ის მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოებდა ფარულ აქტიურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შუმსკისთან და სხვებთან ერთად იღებდა მონაწილეობას სააჯანყებო რაზმების მოწყობაში და აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე დივერსანტების, პეტლიუროველი ემისრების და მათთვის იარაღის გადმოგზავნაში. და მას შემდეგაც, რაც ნაციონალისტური ორგანიზაცია გახსნილ იქნა, გრინკოს არ შეუწყვეტია თავისი გამცემლური მუშაობა. ის დაუკავშირდა მტრის დაზვერვას. როგორც აჩვენებს გრინკო, 1935 წელს ის შევიდა ლუბჩენკოს წინადადებით უკრაინაში წინად ჩამოყალიბებულ ნაციონალ-ფაშისტურ ორგანიზაციაში.

უკრაინის ნაციონალ-ფაშისტებმა მიზნად დაისახეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტურ სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენციის ორგანიზება. ამ მიზნით უკრაინელი ნაციონალ-ფაშისტები დაუკავშირდნენ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს", სამხედრო შეთქმულებს — ტუხაჩევსკის და სხვებს. ამავე დროს გრინკო, მისი გამოთქმის თანახმად, კავშირს ამყარებს საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ერთერთ სახელმწიფოს „გავლენიან წრეებთან". შუამავლად იყო კრესტინსკი.

გრინკო დაკავშირებული იყო ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" თვალსაჩინო ხელმძღვანელებთან —გამარნიკთან. რიკოვთან, პიატაკოვთან. ბლოკის მთავარი დასაყრდენი იმედი, — აჩვენებს გრინკო. ფაშისტურ აგრესორთა ინტერვენციაზე დაყრდნობა იყო.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ვიშინსკი მთელი რიგი კითხვებით არკვევს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ტერორისტულ საქმიანობას. ეს ბოროტმოქმედი საქმიანობა, გრინკოს აღიარებით, ერთერთი ძირითადი ამოცანა იყო შეთქმულთა ორგანიზაციისა, რომელიც ხალხის მტრის ტროცკის დირექტივით მოქმედებდა.

— განზრახული იყო ეჟოვის მოცილება, — აჩვენებს გრინკო.

— რას ნიშნავს მოცილება? — ეკითხება სახელმწიფო ბრალმდებელი.

— მოცილება ნიშნავს მოკვლას, — უპასუხებს გრინკო. და შემდეგ ის მოუთხრობს სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ შემსრულებლებს არჩევდა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" ამ საზარელი საქმისათვის.

გრინკო შემდეგ აჩვენებს, როგორ ანხორციელებდა მავნებლობას ფინანსიური მეურნეობისა და საქონლის ბრუნვის დარგში „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" დავალებით. საგადასახადო პოლიტიკის გამრუდება, მიმართული მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ, საფინანსო კონტროლის შესუსტება, კაპიტალური მშენებლობისათვის ძირგამოთხრა. სოფლის მეურნეობის არასწორი დაფინანსება, საქონლის ბრუნვის არასწორი დაგეგმვა, მოსახლეობის აბუჩად აგდება—ასეთია ბოროტმოქმედური მუშაობა, რომელსაც ანხორციელებდნენ ხალხის ეს საზიზღარი მტრები.

* * *

საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე იწყება ბრალდებულ ჩერნოვის დაკითხვა. წარსულში მენშევიკი, ჩერნოვი, როგორც თვითონ აცხადებს, ფორმალურად შევიდა კომუნისტურ პარტიაში. ჩერნოვი აღიარებს, რომ ის აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან. 1928 წელს ის შევიდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, იღებდა რიკოვისაგან მითითებებს, თუ როგორ ემოქმედნა, რომ გაბოროტება გამოეწვია საშუალო გლეხობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დაეთესა უკმაყოფილება გლეხთა შორის.

1928 წელს, როცა ბრალდებული ჩერნოვი მოემზადა საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასამგზავრებლად, რიკოვმა მისცა მას დავალება დაჰკავშირებოდა ბერლინში დანს, ეთხოვა უკანასკნელისათვის, რომ აემხედრებინა კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიეღწია მეორე ინტერნაციონალის ლიდერების საშუალებით საბჭოთა კავშირისადმი მტრული განწყობილების გაძლიერებისათვის, უზრუნველეყო მათი მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" ხელისუფლებას დაიპყრობდა. ჩერნოვთან რიკოვის ამ საუბარში მონაწილეობას იღებდა ტომსკი. რიკოვიც და ტომსკიც მოითხოვდნენ ჩერნოვისგან, რომ ჩერნოვს პირდაპირ განეცხადებინა დანისათვის, რომ თუ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" ხელისუფლების სათავეში ჩადგება, მაშინ ის წავა არა მარტო ეკონომიური ხასიათის შეთანხმებაზე ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, არამედ ტერიტორიალურ დათმობებზედაც. რიკოვი ავალებს ჩერნოვს — მიაწოდოს ბურჟუაზიულ პრესას ტენდენციური ცნობა, რომელიც დამახინჯებული სახით გამოხატავდა საბჭოთა სინამდვილეს.

ვიშინსკი: (რიკოვს). თქვენ მიეცით თუ არა დავალება ჩერნოვს დაჰკავშირებოდა ბერლინში დანს?

რიკოვი: დიახ.

და შემდეგ პროკურორის, ამხ. ვიშინსკის შეკითხვებზე ბრალდებული რიკოვი ამბობს, რომ ის სისტემატურად აწვდიდა მენშევიკურ „სოციალისტურ ვესტნიკს" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მასალებს.

შემდეგ ჩერნოვი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რიკოვის დავალება შესრულდა და მოლაპარაკება გამართა დანთან.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, გადმოგცეთ თუ არა ჩერნოვმა, რომ მან შეასრულა თქვენი დავალება?

რიკოვი: ვადასტურებ. ჩერნოვმა შეასრულა დავალება.

შემდეგ ბრალდებული ჩერნოვის ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ბერლინში ყოფნის დროს ჩერნოვი გადაიბირა გერმანიის დაზვერვამ. ჩერნოვი ბრუნდება საბჭოთა კავშირში როგორც ჯაშუში „რეინოლდის" მეტსახელით.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვში ჩერნოვთან გამოცხადდა გერმანელი ჟურნალისტი პაულ შეფერი და მოითხოვა მისგან ჯაშუშური ცნობები სამრეწველო საქონლის მარაგზე, პურის დამზადების მსვლელობაზე და სხვა. ჯაშუშმა ჩერნოვმა ყველა ეს ცნობა გადასცა გერმანიის დაზვერვას.

ჩერნოვის შემდგომი ჩვენებებიდან სჩანს, რომ ის გერმანიის დაზვერვისა და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" დავალებით ალპობდა და აავადებდა პურს. ჩერნოვი აჩვენებს სასამართლოს, თუ როგორ აწყობდა თავის დანაშაულებრივს საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, მისი დავალებით, როგორ უცრიდნენ საქონელს ჯირს, ჰკლავდნენ ჯიშიან სანაშენე საქონელს. ბრალდებული ჩერნოვის დავალებით დაღუპული იყო რამოდენიმე ათეული ათასი ღორი.

ვიშინსკი: ხომ არ გაგონდებათ თქვენ, რამდენი მიიღეთ ამისათვის გერმანიის დაზვერვისგან?

ჩერნოვი: 30 ათას გერმანულ მარკამდე და 150 ათასი საბჭოთა მანეთებით.

როგორც ჩერნოვი აჩვენებს, რიკოვი მასთან ყოველი შეხვედრისას მოითხოვდა დივერსიული და მავნებლური მოქმედების გაძლიერებას სოფლის მეურნეობაში.

ვიშინსკი: (რიკოვს). ეთანხმებით თქვენ ჩერნოვთან თქვენი კავშირის შეფასებას, რომელსაც ბრალდებული ჩერნოვი იძლევა?

რიკოვი: დიახ, ის, რასაც ჩერნოვი ამბობს ემთხვევა იმ გეზს, რომელსაც მე მას ვაძლევდი.

ვიშინსკი: (ჩერნოვს). რიკოვისთანა ხელმძღვანელი ბევრი გყავდათ?

ჩერნოვი: რიკოვისა და გერმანიის დაზვერვის გარდა — არავინ.

ბრალდებული ჩერნოვის დაკითხვის შემდეგ საღამოს სხდომა იხურება. (საქტაგი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

2 მარტის საღამოს სხდომა

ბრალდებულ გრინკოს დაკითხვა *

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო გრინკო, ადასტურებთ თუ არა იმ ჩვენებებს, რომლებსაც თქვენ წინასწარ გამოძიებაზე იძლეოდით?

გრინკო: სავსებით და მთლიანად ვადასტურებ.

ვიშინსკი: ბრალდებულო გრინკო, უამბეთ სასამართლოს თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობა.

გრინკო: იმისათვის, რომ ნათელი იყოს ის გზა, რომლითაც მე მივედი საბჭოთა ხელისუფლების და სამშობლოს წინააღმდეგ უამრავ დანაშაულობათა ჩადენამდე, სამშობლოს ღალატამდე, უნდა მოგაგონოთ, რომ კომუნისტურ პარტიაში მე შევედი უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის — ბოროტბისტების შემადგენლობით. ბოროტბისტების ხელმძღვანელი შემადგენლობის მნიშვნელოვანმა ბირთვმა — შუმსკიმ, ბლაკიტნიმ, მე—გრინკომ, ლიუბჩენკომ და სხვ. რომლებიც უკრაინის კ. პ. (ბ)-ში შევედით, — შეინარჩუნა, შემდეგ კი გაამახვილა თავისი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციები.

1925—26 წლის შუმსკიზმი, არსებითად, წარმოადგენდა სსრ კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების პროგრამას, უკრაინაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რესტავრაციის პროგრამას. უკვე მაშინ ეს იყო ნაციონალისტების თავისებური დიდი პოლიტიკური დაზვერვა, ძალების სინჯვა, უკრაინაში რუსული ქალაქების დისკრედიტაციის, რუსული კადრების დისკრედიტაციის მოთხოვნა და ა. შ.

შუმსკიზმი პოლიტიკურად განადგურებულ და ორგანიზაციულად ძირგამოთხრილ იქნა.

ამ ნაციონალისტური ორგანიზაციის განადგურების შემდეგ მხოლოდ მისი ნამსხვრევები დარჩა. მაგრამ, დაახლოებით, 1929 წელს უკვე მოსკოვში აღორძინდა ნაციონალისტური ორგანიზაცია შუმსკის, ჩემი, პოლოზის, მაქსიმოვიჩის, სოლოდუბის და მთელი რიგი სხვა პირების შემადგენლობით. ეს ორგანიზაცია უკვე სხვანაირად უდგებოდა თავის პროგრამას, თავის ტაქტიკას, ვიდრე ეს პირველ პერიოდში იყო. ამ მეორე პერიოდში უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაცია საერთო — პოლიტიკურ საკითხებში უკვე სავსებით დგება მემარჯვენეთა პოზიციებზე, ე. ი. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციებზე. ამ ბრძოლაში ჩვენ უკვე გვქონდა კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ერთი სახელმწიფოს ზოგიერთ წრეებთან. ეს ჩვენი მოკავშირეები გვეხმარებოდნენ ჩვენ. პარტიზანული ბრძოლისათვის მხარდასაჭერად მათ გააძლიერეს დივერსანტების, პეტლიურას ემისრების, იარაღის და ა. შ. გადმოსროლა უკრაინაში.

ვიშინსკი: თქვენ მონაწილეობდით თუ არა პირადად იარაღისა და სხვ. გადმოსროლის მოწყობაში?

გრინკო: მე ამ მოლაპარაკების კურსში ვიყავი.

ვიშინსკი: ხელმძღვანელობდით თუ არა ამ საქმეს?

გრინკო: ვხელმძღვანელობდი.

ვიშინსკი: განაგრძეთ.

გრინკო: ეს პერიოდი დამთავრდა 1933 წლის დასაწყისში თითქმის მთელი ჯგუფის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. მაშინ მარტო მე დავრჩი დაუპატიმრებელი. მაგრამ მე არ დამიყრია ჩემი ნაციონალისტური იარაღი ჩემს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ პერიოდში დაიწყო ჩემი პირადი კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ფაშისტურ ორგანიზაციებთან. ეს კავშირურთიერთობა მიმართული იყო იქითკენ, რომ დამემყარებინა კონტაქტი სსრ კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების მომზადების მიზნით და მომეწყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1935 წლის დამდეგს მე ლიუბჩენკოსაგან გავიგე, რომ უკრაინაში შეიქმნა ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაცია. რომელმაც მიზნად დაისახა უკრაინის ჩამოშორება სსრ კავშირისაგან და რომელსაც სამხედრო ინტერვენციის დახმარების იმედი ჰქონდა იმ ძალებისა და ელემენტების მხრით, რომლებთანაც მე იმ დროს უკვე მქონდა პერსონალური კავშირი. ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაცია თავის ამოცანად ისახავდა მჭიდრო შეერთებას „მემარჯვენე - ტროცკისტულ ბლოკთან", რომელმაც კავშირი დაამყარა სამხედრო შეთქმულებთან.

როცა მე გავიგე ამ ორგანიზაციის შესახებ, თანხმობა მივეცი მასში შესვლაზე. მე დამაკისრეს ამოცანა. კავშირი დამემყარებინა „მემარჯვენე-ტროცკისტულ ცენტრთან", საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობის წრეებთან და ხელი შემეწყო ლიუბჩენკოსათვის გაეჩაღებინა ეს მუშაობა უკრაინაში.

იმ მომენტისათვის ორგანიზაციამ უკვე იწყო ჩამოყალიბება, როგორც ნაციონალ-სოციალისტურმა ორგანიზაციამ. ლიუბჩენკომ მიამბო ამ ორგანიზაციის ცენტრის შესახებ უკრაინაში, სადაც შედიოდნენ ლიუბჩენკო, პორაიკო და სხვ. იგი მიამბობდა, რომ ამ ცენტრში იყო დისკუსია პარტიული ორგანიზაციის ხასიათისა და უკრაინის სახელმწიფოს ტიპის საკითხზე. ლიუბჩენკოს სიტყვით, ორგანიზაცია დაადგა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ტიპის ცენტრალიზებული პარტიის შექმნის გზას. წარმატების შემთხვევაში, ორგანიზაცია ითვალისწინებდა უკრაინის ბურჟუაზიული მთავრობის შექმნას ფაშისტური სახელმწიფოს ტიპის მიხედვით.

როგორ შევასრულე მე ის ამოცანები, რომლებიც ამ ნაციონალ-ფაშისტურმა ორგანიზაციამ დამაკისრა?

ჯერ ერთი, კავშირი „მემარჯვენე-ტროცკისტულ ცენტრთან". ეს კავშირი მე დავამყარე ასეთი ხაზით — გამარნიკი, პიატაკოვი, რიკოვი. ამავე დროს ვასრულებდით საგარეო - პოლიტიკურ ამოცანებს, რამდენადაც პიატაკოვმა და გამარნიკმაც მიამბეს, რომ ტროცკი შეუთანხმდა უკრაინის ხარჯზე კომპენსაციის შესახებ იმ სამხედრო დახმარებისათვის, რომელსაც გაუწევდნენ ჩვენს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვიშინსკი: გვიამბეთ რიკოვთან თქვენი კავშირის შესახებ, რაში მდგომარეობდა იგი?

გრინკო: იგი მდგომარეობდა იმაში, რომ უკრაინის ორგანიზაცია მოექცა მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის ბრძანებლობის ქვეშ.

ვიშინსკი: რითი გამოიხატა ეს?

გრინკო: ეს გამოიხატა, ჯერ ერთი, იმით, რომ უკრაინის ორგანიზაცია ღებულობდა დავალებებს „მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრისაგან". მე, როგორც ამ ორგანიზაციის წევრმა, მივიღე დავალება რიკოვისაგან. 1935 წელს, 1936 წლის დამდეგს მე ძირითადად შევასრულე ის ამოცანები, რომლებიც უკრაინის ორგანიზაციამ დამაკისრა. მე კავშირი დავამყარე „მემარჯვენე-ტროცკისტულ ცენტრთან". კრესტინსკის მეშვეობით კავშირი დავამყარე ერთერთი უცხო სახელმწიფოს ფაშისტურ წრეებთან.

ვიშინსკი: როდის იყო ყოველივე ეს?

გრინკო: 1935 წლის დამლევს, 1936 წლის დამდეგს.

ვიშინსკი: 1935 წლამდე თქვენ პირადად არ გქონიათ კავშირი რომელიმე ფაშისტურ წრეებთან?

გრინკო: მქონდა, 1932 წლის დამლევიდან.

ვიშინსკი: ბრალდებულო კრესტინსკი, მოისმინეთ თუ არა თქვენ ჩვენებათა ეს ნაწილი?

კრესტინსკი: მოვისმინე, მაგრამ მე იგი არავითარ ფაშისტებთან არ დამიკავშირებია, მე მას საქმიან ადამიანებს ვაცნობდი.

ვიშინსკი: (მიმართავს რა რიკოვს). ადასტურებთ თუ არა თქვენ ჩვენებათა ამ ნაწილს, სადაც გრინკო თქვენ გიმოწმებთ?

რიკოვი: დიაღ, ჩვენ ერთმანეთთან გვქონდა ორი შეხვედრა, ერთი 1935 წლის დამლევს, ხოლო მეორე 1936 წლის დასაწყისში.

ვიშინსკი: რა ხასიათისა იყო ეს შეხვედრები?

რიკოვი: ეს იყო შეხვედრები არალეგალური ორგანიზაციის წევრებისა, რომლებიც იბრძვიან პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ვიშინსკი: ბრალდებულო გრინკო. გვიამბეთ ტერორისტული საქმიანობის შესახებ.

გრინკო: ამ პერიოდში ტერორისტული მუშაობა ერთერთი ძირითადი იარაღი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო არსენალში.

ვიშინსკი: ვისგან გაიგეთ ეს თქვენ?

გრინკო: რიკოვისა, იაკოვლევისა, გამარნიკისა და პიატაკოვისაგან.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, ადასტურებთ თუ არა თქვენ გრინკოს ჩვენებებს?

რიკოვი: ვადასტურებ.

ვიშინსკი: (მიმართავს რა გრინკოს). საიდან მიიღეთ ეს ტერორისტული მითითებანი?

გრინკო: ტროცკისაგან. მე ეს ვიცოდი გამარნიკისაგან.

ვიშინსკი: გვიამბეთ კონკრეტულად იმ ტერორისტული აქტების მომზადების ფაქტებზე, რომლებიც თქვენთვის პირადად ცნობილია.

გრინკო: პირდაპირ ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია თავიდან იქნას მოშორებული ეჟოვი, როგორც ყველაზე უფრო საშიში ადამიანი შეთქმულებისათვის.

ვიშინსკი: რას ნიშნავს თავიდან მოშორება?

გრინკო: თავიდან მოშორება ნიშნავს მოკვლას.

მეორე ფაქტი, რომელსაც მე ვიცნობ და რომელიც იმავე პერიოდს ეკუთვნის, ეს არის სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადება ბერგავინოვის მიერ, რომელიც ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მუშაობდა.

ერთერთი დავალება, რომელიც მე „მემარჯვენე - ტროცკისტულმა ცენტრმა" დამაკისრა, იყო ძირგამომთხრელი მუშაობის მოწყობა ფინსახკომის ხაზით. „მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის" ეს დავალება მე გადმომცა რიკოვმა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ცენტრის ხელმძღვანელობა, ის და ბუხარინი, დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ძირგამომთხრელი მუშაობის გაშლას ფინსახკომში, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პოლიტიკური ღირებულობის გამო, რაც ფულს აქვს. ამასთან მოცემულ იქნა ბუხარინის ფორმულა — დავცხოთ საბჭოთა მთავრობას საბჭოთა მანეთით. ეს მე გადმომცა რიკოვმა და ამ თემაზე ჩვენ ველაპარაკეთ ბუხარინს. უნდა ითქვას, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ცენტრს" ეს დავალება იმდენად სერიოზულად ეჩვენებოდა, რომ რიკოვი ამის თაობაზე იყო ჩემთან ფინსახკომში და ჩვენ ერთად ვამუშავებდით ამ ღონისძიებათა პროგრამას.

მავნებლური მუშაობა უნდა გაიშალოს იმ ფინანსიური ღონისძიებების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის ფართო მასებთან.

მაგალითად, სავადასახადო საქმეში. ის გამრუდებანი, რომელთაც ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება ჰპოვეს ბელორუსიაში ლეპელის საქმეში, იყო ერთი ნაწილი ამ ძირგამომთხრელ ღონისძიებებისა. და თუ ლეპელის საქმის გამომჟღავნება გამახვილებულად არ იყო მიმართული ფინსახკომის წინააღმდეგ იმ პერიოდში, ეს აიხსნება იმით, რომ ამ საქმის გამოსამჟღავნებლად გაემგზავრა იაკოვლევი, რომელმაც იმ მომენტში აიცილა დარტყმა ფინსახკომს.

დიდი ძირგამომთხრელი მუშაობა იყო ჩატარებული სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში. ეს მუშაობა მიმართული იყო საბიუჯეტო, ფინანსიური დისციპლინის შერყევისაკენ, ფინანსიური კონტროლის შესუსტებისაკენ და იმისკენ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სახელმწიფო თანხების გამოყენება ცენტრში და ადგილებზე შეთქმულების მიზნებისათვის. მთელ ამ მუშაობას ვანხორციელებდი მე თანახმად „მემარჯვენე - ტროცკისტული ცენტრის" მიერ მოცემული დირექტივებისა.

„მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის" მიერ დამუშავებული იყო საკმარისად დიდი პროგრამა კაპიტალური მშენებლობის ძირგამოთხრის დარგში. პროგრამის დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა პიატაკოვი, მგონი ბუხარინი და მე. ეს პროგრამა მიმართული იყო იმისკენ, რომ შენელებულიყო კაპიტალური მშენებლობის ტემპები, შევიწროებულიყო კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი, სავსებით გამოყენებული ყოფილიყო ბუხარინის თეორია „ვიწრო ადგილებისა" კაპიტალურ მშენებლობაში.

მე ვმონაწილეობდი აგრეთვე ძირგამომთხრელ მუშაობაში სასოფლო მეურნეობის დარგში, ვანხორციელებდი რა მავნებლურ ფინანსიურ ღონისძიებებს. სოფლის მეურნეობის დარგში ძირგამომთხრელი მუშაობა „მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის" მიერ მიჩნეული იყო, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა.

ვიშინსკი: მე მინდოდა დამეზუსტებინა რამოდენიმე საკითხი. პირველი, იცით თუ არა თქვენ, ბრალდებულო გრინკო, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მავნებლური მუშაობის შესახებ მოსახლეობის მომარაგების დარგში პირველი საჭიროების საგნებით, პურით და სხვ.?

გრინკო: „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" ანხორციელებდა საკმარისად დიდ ძირგამომთხრელ მუშაობას საქონლის ბრუნვის დარგში. ამ ხაზით მე მქონდა პირდაპირი კავშირი ზელენსკისთან.

საქონელბრუნვის დარგში ზელენსკი და სხვა მავნებლები ამ დარგში, მაგალითად, ბოლოტინი შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით, ანხორციელებდა ძირგამომთხრელ მუშაობას, ჰქმნიდნენ საქონლის შიმშილს, საქონლის სიძნელეებს სახელმწიფოში. ეს ეხება როგორც კვების, სასურსათო საქონელს, ისე პირველი მოთხოვნილების საქონელსაც. ზელენსკი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" დირექტივით მოუსავლიან რაიონებში აგზავნიდა საქონლის დიდ მასებს, მოსავლიან რაიონებში კი უფრო მცირე რაოდენობით აგზავნიდა საქონელს, რაც ჰქმნიდა საქონლის სიჭარბეს ერთ რაიონში და საქონლის ნაკლებობას სხვა რაიონებში.

ვიშინსკი: ზელენსკი, თქვენ გაიგონეთ გრინკოს ჩვენების ეს ნაწილი? როგორ უყურებთ თქვენ ამას?

ზელენსკი: გრინკო სწორად ლაპარაკობდა.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, თქვენ რას იტყვით?

რიკოვი: მე მაგონდება, რომ იყო საუბარი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ.

ვიშინსკი: თქვენ სცნობთ დამნაშავედ თავს მავნებლობაში?

რიკოვი: დიაღ.

ვიშინსკი: აქ გრინკო ლაპარაკობდა მოღალატეთა სამხედრო ჯგუფზე — ტუხაჩევსკის და სხვების შესახებ, რომლებიც თავის დროზე მსჯავრდებულნი იქნენ უმაღლესი სასამართლოს მიერ. თქვენ ადასტურებთ თუ არა ჩვენების იმ ნაწილს, რომელიც თქვენ გეხებათ?

რიკოვი: მე ვიცოდი ტუხაჩევსკის სამხედრო ჯგუფის შესახებ.

ვიშინსკი: რა იცოდით თქვენ?

რიკოვი: ეს სამხედრო ჯგუფი ჩამოყალიბდა ბლოკისგან დამოუკიდებლად, მიუხედავად სხვადასხვაობისა — ტროცკისტები იყვნენ ისინი თუ ბუხარინელები. სამხედრო ჯგუფი თავის მიზნად ისახავდა კავშირის მთავრობის ძალდატანებით გადაყენებას და კერძოდ მონაწილეობას იღებდა კრემლის გადატრიალების მომზადებაში.

ვიშინსკი: ეს თქვენ იცოდით?

რიკოვი: დიაღ.

ვიშინსკი: ბრალდებულო გრინკო ბუხარინთან კი არ გქონიათ საუბარი?

გრინკო: ბუხარინთან მე მქონდა მოკლე საუბარი კრემლში ფინანსების დარგში ძირგამომთხრელ ღონისძიებათა პრინციპული საფუძვლის შესახებ, საუბარი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისადმი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ.

ვიშინსკი: აგვიხსნათ თუ არა ბუხარინმა, თუ რატომ არის ის უკმაყოფილო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით?

გრინკო: რაც შეეხება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, „მემარჯვენე-ტროცკისტულ ცენტრში" (მე საუბარი მქონდა რიკოვთან, ბუხარინთან) საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული უარყოფითი დამოკიდებულება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისადმი, იმიტომ რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის ერთერთ იმ ეტაპს, რომელიც თავიდან გვაცილებდა ან გვაშორებდა შეტაკებას აგრესორთან, შეტაკებას, რომელზედაც იმედს ამყარებდა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი". საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დარღვევა აგრესორისათვის შესაძლებლობათა გაშლის მიზნით შედიოდა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროგრამაში.

ვიშინსკი: მაშასადამე, „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს" გეზი ომზე ჰქონდა აღებული?

გრინკო: დიაღ, ომზე, საბჭოთა კავშირის სამხედრო დამარცხებაზე და ძალაუფლების დაპყრობაში აგრესორისათვის ხელშეწყობაზე.

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

3 მარტის დილის სხდომის დღიური

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დილის სხდომაზე 3 მარტს პირველად დაჰკითხეს ბრალდებულ ივანოვს. მეფის ოხრანკის გამოცდილი პროვოკატორი, შემდეგში ინგლისის დაზვერვის ჯაშუში, ივანოვი აღიარებს, რომ ის იყო არალეგალურ ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ერთერთი აქტიური მონაწილე. ივანოვი აჩვენებს, რომ ის ჯერ კიდევ 1911 წელში გახდა ტულის ჟანდარმთა სამმართველოს ფასიანი აგენტი, „იზრდებოდა" როტმისტრ მამატკაზინის ხელმძღვანელობის ქვეშ, ჯერ ტულაში, შემდეგ მოსკოვში. უნივერსიტეტში სტუდენტობისას ივანოვი აბეზღებდა ოხრანკაში ცალკეულ ამხანაგებს, რომლებიც აწარმოებდნენ რევოლუციურ მუშაობას, გასცემდა ხოლმე სტუდენტურ გაფიცვებს, ჟანდარმთა სამმართველოს აწვდიდა ინფორმაციას სტუდენტურ ორგანიზაციების რევოლუციურ მოძრაობაზე.

ასე დაიწყო ბრალდებულ ივანოვის „პოლიტიკური მოღვაწეობა". პროკურორი ამხ. ვიშინსკი აძლევს ბრალდებულს მთელ რიგ შეკითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ შევიდა ის ბოლშევიკურ პარტიაში. ივანოვი აღიარებს, რომ მან ეს გააკეთა ჟანდარმთა პოლკოვნიკის კოლოკოლკინის დავალებით 1915 წელს.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ შეხვედით პარტიაში მოსკოვის ოხრანკის პოლკოვნიკის კოლოკოლკინის მითითებით.

ივანოვი: დიაღ.

ვიშინსკი: პროვოკატორული მიზნებით?

ივანოვი: დიაღ, პროვოკატორული მიზნებით.

ივანოვი აჩვენებს შემდეგ, თუ როგორ დაუკავშირდა ბუხარინს 1918 წლის დამდეგს და აწარმოებდა ძირგამომთხრელ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ, როგორ ამზადებდნენ „მემარცხენე" კომუნისტები ლენინის მკვლელობას, როგორ თანდათან მტკიცდებოდა წლიდან წლამდე მისი კავშირი ბუხარინთან. 1928 წელს, როდესაც ივანოვი მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში, ბუხარინმა მისცა მას დირექტივა იქ მემარჯვენეთა არალეგალური ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად და ჩრდილო კავკასიის გადასაქცევად რუსეთის ვანდეად, კულაკური აჯანყების გამოსაწვევად. მემარჯვენეთა ჯგუფი, როგორც უჩვენებს ივანოვი, შექმნილი იყო. ის დაუკავშირდა მტრულად განწყობილ ელემენტებს და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ უზრუნველეყო კულაკური აჯანყება.

მაგრამ, როდესაც კულაკური აჯანყების გეგმა ჩავარდა და ივანოვი გადავიდა ჩრდილოეთ მხარეში, ბუხარინი, თანახმად ივანოვის სიტყვებისა, იძლევა ახალ გეზს — საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების მომზადებას, ინტერვენტების თავდასხმის შემთხვევაში დივერსიულ და მავნებლურ მუშაობის გაშლას, ტერორისტული ჯგუფების ორგანიზებას და, ბოლოს, უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ ჯაშუშობის განხორციელებას. ივანოვი ადასტურებს, რომ ბუხარინმა მისცა მას დარიგება იმის შესახებ. თუ როგორ მომსახურებოდა ინგლისის დაზვერვას.

ვიშინსკი: და თქვენ შეასრულეთ ეს დარიგებები?

ივანოვი: ვასრულებდი, ვეწეოდი მომსახურებას, ვაგზავნიდი მასალას, ვიღებდი მითითებებს რეზიდენტის მეშვეობით. და მასთან ეს მითითებები, რომელსაც ვიღებდი ინგლისის დაზვერვიდან, სრულებით ემთხვეოდა იმ დირექტივებს, რომელსაც მე ვიღებდი მემარჯვენეთა ცენტრისაგან.

ვიშინსკი: სავსებით ემთხვეოდნენ? ასე რომ თქვენ ზოგჯერ განსხვავებას ვერ ჰხედავდით, სად მოქმედებდა მემარჯვენეთა ცენტრი, ხოლო სად—უცხოეთის დაზვერვა.

ივანოვი: დიაღ, აქ სრული დამთხვევა იყო.

ივანოვი მოუთხრობს სასამართლოს, რომ ბუხარინი „სახავდა", რათა მომავალში ხე-ტყის ქარხნები საკონცესიოდ გადასცემოდა ინგლისელებს, აგრეთვე „სახავდა", რათა საბჭოთა მიერ აგებული ახალი ხე-ტყის ქარხნები გაცემული ყოფილიყო მეფის ვალების დაფარვის ანგარიშში.

ვიშინსკი: თქვენ სავსებით გარკვეული აღზრდა გაქვთ. თქვენ პოლიტიკური აღზრდა დაგიწყიათ ტულის ოხრანკის როტმისტრის მამატკაზინის ხელმძღვანელობით, ხოლო დაგიმთავრებიათ — ბუხარინისა და რიკოვის ხელმძღვანელობით. ხომ ასეა?

ივანოვი: მართალია.

შემდეგ ბრალდებული, უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის კითხვებს, იძლევა დაწვრილებითს ჩვენებებს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ტერორისტულ განზრახვებზე, მავნებლობაზე სატყეო მრეწველობაში.

* * *

შესვენების შემდეგ ბრალდებული ბუხარინი, უპასუხებს რა სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის კითხვებს, ადასტურებს, რომ 1928 წელს იგი ივანოვს აძლევდა მითითებებს შექმნა ჩრდილო-კავკასიაში მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა არალეგალური ორგანიზაცია. ბუხარინი აღიარებს, რომ მან უკვე მაშინ აცნობა ივანოვს, რომ არსებობს კონტრრევოლუციური მემარჯვენე ცენტრი.

ბრალდებული ბუხარინი ადასტურებს აგრეთვე: ვიცოდი, რომ ივანოვი მოლაპარაკებას აწარმოებდა კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან. და თვითონ ვაცნობდი ივანოვს კონტრრევოლუციური მემარჯვენე ცენტრის გეგმებს „იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო კონიუნქტურა".

ვიშინსკი: სხვანაირად რომ ვთქვათ, ორიენტაცია უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოს დახმარებაზე?

ბუხარინი: დიაღ, შეიძლება ასეც ითქვას.

ვიშინსკი: სხვანაირად რომ ვთქვათ, ორიენტაცია სსრ კავშირის დამარცხებაზე?

ბუხარინი: საერთოდ, შეჯამებულად, ვიმეორებ — დიაღ.

შემდეგ იწყება „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ერთერთი აქტიური მონაწილის, მეფის ოხრანკის აგენტის, ფაშისტთა ჯაშუშის, ბრალდებულ ზუბარევის დაკითხვა. ზუბარევი სავსებით ადასტურებს თავის ჩვენებებს, რომლებიც მან წინასწარ გამოძიებისას მისცა.

მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ზუბარევი ჩააბა 1929 წელს მემარჯვენეთა ერთერთმა მეთაურმა სმირნოვმა. მალე ზუბარევმა კავშირი გააბა რიკოვთან. 1930 წლის მაისში რიკოვი ჩავიდა სვერდლოვსკში საოლქო პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციის დროს რიკოვი შეხვდა მეფის ოხრანკის აგენტს ზუბარევს და უთხრა, რომ სმირნოვის ნათქვამიდან იცნობს მას, როგორც მემარჯვენეების ანტისაბჭოთა ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეს, რომ სურს მასთან საუბარი. საუბარი მოხდა. რიკოვმა ზუბარევისაგან მიიღო სრული ინფორმაცია მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ ურალში და მისი მავნებლური, ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ. მან მოიწონა მემარჯვენეთა ძირგამომთხრელი საზიზღარი საქმიანობა ურალის ოლქში და მისცა მითითება გააფართოვონ იგი, კერძოდ მოაწყონ კოლექტივიზაციის საბოტაჟი, ჩაშალონ თესვის კამპანია კოლმეურნეობებში, მოახდინონ საქონელბრუნვის დეზორგანიზაცია, აგრეთვე გაერთიანდნენ კონტრრევოლუციური მუშაობისათვის ტროცკისტებთან. ზინოვიეველებთან, ესერებთან, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ყველა ელემენტთან.

ბრალდებული რიკოვი პროკურორის ამხ. ვიშინსკის მიერ მიცემულ კითხვაზე სავსებით ადასტურებს ზუბარევის ჩვენებებს.

ვიშინსკი: ვის წინააღმდეგ აპირებდით თქვენ ავაზაკური ტერორისტული აქტების მოწყობას?

ზუბარევი: თავდაპირველად ჩვენ კონკრეტულად არავინ გვყავდა მხედველობაში პერსონალურად, ხოლო საერთოდ განზრახული გვქონდა ტერორისტული აქტები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი შემადგენლობის წინააღმდეგ, კერძოდ პოლიტბიუროს წევრების წინააღმდეგ. ჩვენი მდგომარეობის გამო, ჩვენი კავშირურთიერთობისა და ტერორისტული აქტის ორგანიზაციის მხრივ დიდ შესაძლებლობათა გამო ჩვენ შევჩერდით მოლოტოვზე...

ვიშინსკი: მოლოტოვზე — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეზე?

ზუბარევი: დიაღ, მოლოტოვზე...

უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის კითხვებზე, ზუბარევი შემდეგ აღიარებს თავის, როგორც მეფის პოლიციის აგენტის, პროვოკატორულ საქმიანობას. იგი ოხრანკაში ჩააბა 1908 წელს ქალაქ კოტელნიჩის ბოქაულმა ვასილიევმა. მას შემდეგ ზუბარევი, გადადიოდა რა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, ყოველთვის ირქმევდა სხვადასხვა ზედმეტ სახელს „ვასილი", „პარენი", „პროხორი", და ხელში აძლევდა პოლიციას რევოლუციონერებს.

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის თხოვნით სასამართლომ დაჰკითხა, როგორც მოწმეს, პოლიციის ყოფილ ბოქაულს ვასილიევს. ვასილიევმა უამბო სასამართლოს, თუ როგორ გადაიბირა მან ზუბარევი მეფის ოხრანკის აგენტად, და რომ აქ მას არავითარი „სიძნელე" არ შეხვედრია. კიდევ მეტი, თვით ზუბარევმა მოიგონა თავისთვის ზედმეტი სახელი „ვასილი". ორჯერ გადასცა ვასილიევმა ზუბარევს 30 მანეთი პროვოკატორული მუშაობისათვის.

ბრალდებულ ზუბარევის დაკითხვის შემდეგ დღის სხდომა იხურება.

(საქდესი).

საბჭოთა აფხაზეთის ჩვიდმეტი წელი

დღეს შესრულდა 17 წელი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. მზიანი აფხაზეთის ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი ცხოვრების ამ შესანიშნავ თარიღს ეგებებიან უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით, შეძლებული, ბედნიერი და საამური ცხოვრებით.

აფხაზმა ხალხმა გაიარა თავად-აზნაურთა და უცხო დამპყრობელთაგან ჩაგვრის შავბნელი საუკუნეები. ვინ არ სთელავდა და სჯიჯგნიდა ამ თვალწარმტაც მხარეს,—დაწყებული რომაელ და ბიზანტიელ დამპყრობელთაგან და გათავებული ცარიზმის ჩინოვნიკებითა და ქართველი ხალხის მოღალატე უბადრუკი მენშევიკებით!

1810 წელს აფხაზეთის მფლობელმა თავადმა საფარ-ბეი შერვაშიძემ აფხაზეთი „სამუდამო ქვეშევრდომობასა და მონობაში" გადასცა რუსეთის მეფეს. „საკუთარ" თავად-აზნაურთა გაუმაძღრობისა და ხშირი თავდასხმების გამო აფხაზეთი ეკონომიურად სუსტი და დაბეჩავებული ქვეყანა იყო. თვითმპყრობელობის სატრაპებმა კიდევ უფრო დააქვეითეს და გადაგვარების გზაზე დააყენეს იგი. „ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა მხარეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მასები" (სტალინი).

აფხაზეთის მშრომელებს არაერთხელ აუფრიალებიათ თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის წითელი დროშა, მაგრამ ცარიზმი, ეს „ხალხთა საპყრობილე", ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა და სისხლში ახრჩობდა ხალხის ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი.

მენშევიკების უღლეურმა ბატონობამ არა თუ არ გააუმჯობესა, არამედ უფრო გააუარესა აფხაზი ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობა. 1918 წლის აპრილში აჯანყდნენ აფხაზეთის მშრომელები გამცემელ მენშევიკების წინააღმდეგ და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც სულ 42 დღეს იარსება. მაგრამ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხიშტებით ზურგგამაგრებულმა მენშევიკურმა მთავრობამ ამჯერად შესძლო სისხლში ჩაეხრჩო აფხაზეთის აჯანყება.

განვლო ამის შემდეგ სამმა წელმა და აფხაზმა ხალხმა სსრ კავშირის მოძმე ხალხების მხარდაჭერითა და დახმარებით, ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაანადგურა როგორც მემამულეები და კაპიტალისტები, ისე მათი ლაქია მენშევიკები. 1921 წლის 4 მარტიდან აფხაზი ხალხის ისტორიაში იწყება ახალი ხანა, ხანა თავისუფალი შემოქმედებითი შრომისა და დიადი სოციალისტური აღმშენებლობისა.

გმირულ ბრძოლათა და გამარჯვებათა განვლილი 17 წლის მანძილზე საბჭოთა აფხაზეთმა მოიპოვა უდიდესი წარმატებები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით იგი გადაიქცა მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად.

წინათ აფხაზეთში სრულიად არ მოიპოვებოდა მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე კი იქ შეიქმნა რამდენიმე ათეული მსხვილი საწარმო, სადაც მრავალი ათასი მუშა მუშაობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები წელს ჩვენს ქვეყანას მისცემს 200 ათას ტონაზე მეტ ქვანახშირს.

შეიცვალა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სახეც. წინათ დაქუცმაცებული ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების ნაცვლად, შექმნილია 407 მსხვილი კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია გლეხობის 74 პროცენტი. საბჭოთა აფხაზეთის რესპუბლიკა მოფენილია ციტრუსოვანი ბაღნარებითა და ძვირფასი ტექნიკური კულტურებით; ჩაი გაშენებულია 6.074 ჰექტარზე, თამბაქო—11.431 ჰექტარზე, ტუნგო—2.673 ჰექ., ხოლო ციტრუსები—1.218 ჰექტარზე.

„თუ რევოლუციამდე ციტრუსების ნარგავებს (მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს) აშენებდნენ როგორც იშვიათ მცენარეებს მხოლოდ მეფის სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრების ცალკეულ კარმიდამოებში ან ზოგიერთ მემამულის მამულებში შავი ზღვის სანაპიროზე, ახლა ციტრუსები გახდა კოლმეურნე გლეხობის ერთერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ შემოსავლიან სამეურნეო წყაროდ დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში" (ლ. ბერია).

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან ერთად, სწრაფად ვითარდება და აყვავებას განიცდის საბჭოთა აფხაზეთის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, 60 ათასზე მეტი მოზარდი სწავლობს აფხაზეთის სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვან სკოლებში; სწრაფად ხორციელდება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია.

მზიანი აფხაზეთის მშვენიერი კურორტები, მრავალრიცხოვანი საუცხოო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყოველთვიურად ემსახურებიან სსრ კავშირის ათასობით მშრომელებს.

აფხაზი ხალხის უბოროტეს მტრებს—საზიზღარი ბანდის მონაწილეებს სურდათ ძირი გამოეთხარათ აფხაზი ხალხის ბედნიერებისათვის, მონობის მძიმე უღელი დაედგათ მისთვის. ისინი ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ აფხაზეთი სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახისაგან და მიეყიდათ იგი უცხოელ იმპერიალისტებისათვის. მაგრამ არამზადები ანგარიშში მოსტყუვდნენ! ხალხის რისხვამ ისინი აღგავა პირისაგან საბჭოთა მიწისა.

აფხაზმა ხალხმა კარგად იცის, რომ ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება მას შეუქმნა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ და ხალხთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. ამიტომ არის, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-17 წლისთავის საზეიმო დღეებში აფხაზი ხალხის საუკეთესო ფიქრები და გრძნობები, მათი უდიდესი სიხარულისა და მადლობის სიტყვები მიმართულია პროლეტარიატის გენიოსი ბელადის, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის ბრძენი შემოქმედის დიდი სტალინისადმი.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნაცადი დროშით აფხაზი ხალხი, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, გასწევს წინ, კომუნიზმის ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისაკენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების განმტკიცების დარგში და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება:

1. პოლკოვნიკ ანატოლი კონსტანტინეს-ძე **სეროვს.**
2. უფრ. ლეიტენანტ ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **შატროვს.**
3. უმცრ მეთაურს ვიქტორ ალექსის-ძე **ნოვიკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
2 მარტი 1938 წ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურების, პოლიტმუშაკების, ინჟინრების და ტექნიკოსების დაჯილდოება

მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების, ნაწილების და განყოფილებების საბრძოლო, პოლიტიკურსა და ტექნიკურ მომზადებაში უდიდესი წარჩინებისათვის სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა სსრ კავშირის ორდენებით 260 მეთაური, პოლიტმუშაკი, ინჟინერი და ტექნიკოსი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: პოლკოვნიკი მ. ა. **ბოგდანოვი**, პოლკოვნიკი კ. მ. **კაჩანოვი**, პოლკოვნიკი პ. ი. **ლიაპინი**, პოლკოვნიკი ვ. პ. **უხოვი**, მაიორი ა. გ. **სტარიკოვი**, მაიორი ს. ი. **ჩერნიაკი**, მაიორი ა. გ. **ლოზიჩენკო**, მაიორი მ. ფ. **ტერეხინი**, მაიორი გ. პ. **პლეშჩენკო**, მაიორი ბ. ა. **სმირნოვი**, მაიორი ს. ა. **დოიარი**, კაპიტანი გ. ა. **მასტეროვი**, კაპიტანი პ. ს. **ფოტჩენკოვი**, კაპიტანი ა. ვ. **სერენკო**, კაპიტანი ე. ს. **ანტონოვი**, კაპიტანი ი. მ. **ხლუსოვიჩი**, კაპიტანი პ. ს. **ივანოვი**, კაპიტანი პ. პ. **ბუტრიმი**, კაპიტანი პ. ი. **ოჟერედოვი**, უფროსი ლეიტენანტი ვ. პ. **დოლგი**, უფროსი ლეიტენანტი ი. ვ. **შიპიტოვი**, ლეიტენანტი მ. ი. **სუჩკოვი**, ლეიტენანტი ლ. გ. **რიპტინი**, ლეიტენანტი ე. ი. **არისტოვი**, ლეიტენანტი პ. ა. **სკოსირევი**, უმცროსი მეთაური დ. ტ. **აკიმოვი**, უმცროსი მეთაური ს. პ. **შევცოვი**, უმცროსი მეთაური ს. ვ. **ხილაევი**.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია დივიზიის მეთაური კ. ა. **მერეცკოვი**, დივიზიის კომისარი ზ. მ. **კაჩელინი**, ბრიგადის მეთაური ე. ს. **პტუხინი**, ბრიგადის კომისარი ფ. ი. **უსატი**, პოლკოვნიკი ვ. ი. **ანდრიაშენკო**, პოლკოვნიკი პ. ს. **კურბატკინი**, პოლკოვნიკი ფ. კ. **არჟენუხინი**, პოლკოვნიკი ა. რ. **შარაპოვი**, პოლკოვნიკი ი. ტ. **ერემენკო**, მაიორი ვ. პ. **ბარიშპოლი**, მაიორი პ. გ. **ლამპელი** და სხვები სულ 193 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია პოლკის კომისარი ფ. ა. **აგალცოვი**, მაიორი ვ. მ. **სვირეპოვი**, მაიორი ა. ი. **ლობოვი**, II რანგის სამხედრო ინჟინერი პ. ნ. **სკრომნიკოვი**, კაპიტანი ა. პ. **სალავიოვი**, კაპიტანი მ. ვ. **ანტონენკო**, კაპიტანი მ. ა. **ისაევი** და სხვები. სულ 37 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია III რანგის სამხედრო ინჟინერი ა. კ. **რეპინი**, III რანგის სამხედრო ინჟინერი ი. გ. **ლაზარევი**.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკ-ის მე-6 სესია

28 თებერვალს გაიხსნა და პირველ მარტს დაამთავრა მუშაობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მე-7 მოწვევის ცაკ-ის მე-6 სესიამ.

სოხუმის პარტგანათლების სახლში, სადაც სესია მიმდინარეობდა, თავი მოიყარეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულმა სტახანოველებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკებმა, — აფხაზეთის ასსრ ცაკ-ის წევრებმა.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გ. გეთიამ. ამის შემდეგ სესიამ განიხილა აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის აღმსრულებლის ამხ. პლ. კიკორიას მოხსენება — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა არჩევნების ახალი დებულების მნიშვნელობაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებზე და მომავალი არჩევნებისათვის მზადების ამოცანებზე.

მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ლ. ქურსუა, ლ. ვოზბა, ბ. აბელიანი, გ. ჯავახია, ქ. ლაგვილავა, გ. ჯგუბურია, ტ. ანთია, ანტონოვი, ბგანბა, პ. კონსტანტინიდი, შ. ავიძბა, აშბა, ზარანდია და სხვ.

ამხ. პლ. კიკორიას საბოლოო სიტყვის შემდეგ დებულების პროექტის ტექსტი წაკითხულ იქნა და მუხლობრივად ეყარა კენჭი.

სესიამ ერთხმად მიიღო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება.

„ერმაკი“ და „მურმანეცი“ ნორვეგიის ნაპირებთან

„ერმაკი“, 2 მარტი (საკდესის სპეცკორის რადიო). პირველი მარტის ბნელი საღამო იყო, როცა „ერმაკი“ და „მურმანეცი“ მიუახლოვდნენ ნორვეგიის კლდოვან ნაპირებს. უკანასკნელი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ამხ. ვორონინი ცუდი ამინდის გამო არ ჩამოსულა ბოგადან. მიუხედავად დაღლილობისა, ამხ. ვორონინს შტურმანებთან — ამხ. ვეტროვთან და მარკოვთან ერთად მტკიცედ მიჰყავდა გემი მრისხანე კლდეებს შორის და გზას იგნებდა შუქურას ფერადად მოელვარე სინათლეზე. დილაადრიან შევჩერდით ვიწრო სრუტეში პატარა ქალაქ კოპერვიკის პირდაპირ. გათენებისას აქვე ჩააგდო ღუზა ჰოლანდიაში აპატიტების ტვირთით მიმავალმა საბჭოთა გემმა „ბალხაშმა“. ის შევიდა კუნძულოვან ნაპირებში, იფარავდა რა თავს შტორმისაგან. როგორც კი „ერმაკი“ დაინახეს „ბალხაშიდან“, საჩქაროდ ჩამოუშვეს ნავი ეკიპაჟის დელეგაციით, რომ მისალმებოდნენ გმირ პაპანინელებს. „ბალხაშიდან“ სტუმრების მოსვლის შემდეგ, ყინულმჭრელს შემოეხვივნენ ნორვეგიელი გაზეთის ჟურნალისტები. მათ მრავალი შეკითხვა მისცეს ჩვენ პაპანინელთა ოთხეულს და განუწყვეტლივ აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს.

„ერმაკის“ რაცია დაუკავშირდა ოსლოს. ამხ. შმიდტი ესაუბრა რადიო-ტელეფონით სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ნიკონოვს, რომელმაც გადმოსცა მისალმება პაპანინელებს საბჭოთა კოლონიის სახელით. რადიოკომპანიის თხოვნით ამხ. შმიდტი გამოვიდა მიკროფონთან, მოკლედ უამბო ნორვეგიის საზოგადოებრივობას გმირ საბჭოთა პოლარელების მუშაობის შესახებ, რომლებიც ბრუნდებიან თავის სამშობლოში.

ახლა „ერმაკზე“ სწარმოებს ნახშირის გადატვირთვა კიჩის ტრიუმებიდან კიდურის ტრიუმებში.

ტროიანოვსკი.

საბჭოთა კავშირ—გერმანიის სავაჭრო შეთანხმება

1938 წლის 1 მარტს ბერლინში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმებას 1938 წლისათვის საქონლისა და გადასახდელთა ბრუნვის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიის იმ სავაჭრო შეთანხმების განგრძობის ფორმით, რომელიც მოქმედებდა 1937 წელს.

უცხო ენების შესწავლა უმაღლეს სკოლებში

მოსკოვი, 27 თებერვალი (საკდესი). უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა გადასწყვიტა მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარება უცხო ენების შესწავლის ხარისხის ასამაღლებლად იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ეს საგანი სპეციალური არ არის.

1938-39 სასწავლო წლიდან ამ უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლებას დაეთმობა არანაკლებ 250—300 საათისა. ამას გარდა, მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებს დამატებით ეძლევათ 50 საათი ფაკულტატური მეცადინეობისათვის — მათი სპეციალობის უცხო ლიტერატურის კითხვისა და თარგმნისათვის.

უმაღლეს კურსზე გადასვლის დროს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა ახლა ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილო-ჩინეთში.

ხანკოუ, 2 მარტი (საკდესი). შანსის პროვინციაში იაპონელთა სარდლობამ ფრონტებზე გაგზავნა რამდენიმე ათი ათასი ჯარისკაცი და დაიწყო შეტევა ქალაქ ლინშიზე. 27 თებერვალს ჩინელმა ჯარებმა დაიხიეს ლინშიდან სამხრეთით, ხოჯოუსაკენ. იმავე დროს იაპონელებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთიდან ლინფინზე, ხოჯოუს სამხრეთით. გარემოცვის თავიდან ასაცილებლად ჩინელთა სარდლობამ ძირითადი ძალები წამოიყვანა ხოჯოუდან დასავლეთით მთიან რაიონებში, სადაც ამჟამად გრძელდება ბრძოლა. ხოჯოუ იაპონელებმა აიღეს 28 თებერვალს.

ხენანის პროვინციაში, ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის დასავლეთით ჩინელი ჯარების შეტევის გამო იაპონელთა ჯარები იხევენ ქალაქ მინსიანიდან. ქალაქში დარჩა არა უმეტეს 300 იაპონელი ჯარისკაცისა. უკვე რამდენიმე დღეა ბრძოლაა ძიაუანთან. ჩინელი ჯარები უტევენ იაპონელთა პოზიციებს სამხრეთით მდინარიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან.

შანდუნის პროვინციაში ბრძოლაა იშუის მიდამოებში, რკინიგზის აღმოსავლეთით.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 2 მარტი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბანზე იაპონელთა შეტევას ჩრდილოეთისაკენ აკავებენ ჩინელი ჯარები, რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან თავმოყრილი რკინიგზის დასავლეთით. რკინიგზის ვაკისი სადგურ ბოლინთან, ბენპუს სამხრეთით, დანგრეულია პარტიზანების მიერ. ამ დღეებში პარტიზანთა რაზმებმა მოახდინეს თავდასხმა იაპონელთა ორ სამხედრო მატარებელზე ძიაშანის მახლობლად. შეტაკებათა დროს მოკლულია მრავალი იაპონელი ჯარისკაცი. უხუს რაიონში ჩინელები წარმატებით იგერიებენ იაპონელთა იერიშებს, ხანჯოუს რაიონში ჩინელმა ჯარებმა რამდენიმე იერიშის შემდეგ ხელთ იგდეს მაღლობები ფუიანის ირგვლივ.

სამხრეთ ჩინეთში

შანხაი, 1 მარტი (საკდესი). იაპონელთა თვითმფრინავებმა კანტონზე თავდასხმისას 28 თებერვალს ჩამოაგდეს რამდენიმე ყუმბარა აეროდრომის რაიონში. საჰაერო ბრძოლის დროს ჩინელთა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს იაპონელთა ორი თვითმფრინავი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სოხუმის ახალი სასტუმროს მშენებლობა რუსთაველის ქუჩაზე. სასტუმრო ახლო ხანში გაიხსნება; გალის რაიონის ეჟოვის სახ. კოლმეურნეობის უხუცესი წევრები, მომღერლები, 115 წლის ზურაბ შარია და 85 წლის ლუკა შარია; სოხუმის მიქოიანის სახ. მეთევზეთა კოლმეურნეობის ამხ. ეფიმოვის ბრიგადა, ზღვაში სათევზაოდ გასული; გუდაუთის რაიონის სოფ. აჩანდარის კოლმეურნეობა „რიცას“ 97 წლის კოლმეურნე სულეიმან ჭვიჟბა ხალხურ საკრავზე ამღერებს ახალ სიმღერებს.

კიდევ 7 კილომეტრი

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქვეყნის საწარმოო ძალების უჩვეულო ამოძრავებამ სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დააყენა რკინიგზის ტრანსპორტის მშენებლობის განვითარებაც.

შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა ბუნების წიაღში დაფარულ სიმდიდრეთა ათვისების თარიღს უკავშირდება. ტყვარჩელის ქვანახშირი, ხე-ტყის მრეწველობა, საკურორტო მშენებლობა და, ბოლოს, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვდა ამ მშენებლობის დაჩქარებას.

აფხაზეთის ბუნების რელიეფი დიდ სიძნელეს უქმნის რკინიგზის ტრასას. აფხაზეთი დასერილია მრავალი მდინარეებით, რომლებიც წყალდიდობის დროს ფართო კალაპოტს სჭრიან. კავკასიონის ქედი თავისი შტოებით ალაგ-ალაგ პირდაპირ ჩადგმულია შავ ზღვაში. ამიტომ არის, რომ ხელოვნურ ნაგებობებს შავი ზღვის რკინიგზაზე გაცილებით უფრო მეტს შეხვდებით, ვიდრე რომელიმე სხვა მაგისტრალზე.

ლიანდაგმა უნდა გაიაროს აფხაზეთში მრავალი გვირაბი. ამ გვირაბების საერთო სიგრძე მიღებული პროექტით 10-12 კილომეტრს აღემატება.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის საკითხი დადებითად გადასჭრა. ამ ხნის განმავლობაში დაგებულია 151 კილომეტრი რკინის ლიანდაგი. გალის, ოჩამჩირის და სოხუმის რაიონები უშუალოდ დაუკავშირდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალს. მთავარ მაგისტრალს დაუკავშირდნენ აგრეთვე ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებიც. ტვირთზიდვის ციფრები მეტყველებენ შავი ზღვის რკინიგზის დიდ სარგებლიანობაზე. ნაწილობრივი ექსპლოატაციის პერიოდში რკინიგზამ გასული წლის განმავლობაში გადაზიდა 4,5 მილიონი ტონა-კილომეტრი ქვანახშირი, მრავალი მილიონი ტონა-კილომეტრი სხვადასხვა ტვირთი და 2 მილიონამდე მგზავრი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 17 წლისთავზე შავი ზღვის რკინიგზის მშენებლები აბარებენ ჩვენს ქვეყანას 7 კილომეტრ ახალ უბანს.

ბ. ა.

აფხაზეთის კურორტები

ვ. კალანდია.

აფხაზეთის ასსრ-ის მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსი

აფხაზეთის ლამაზი, თვალწარმტაცი, მრავალფეროვანი რელიეფი და განსაკუთრებული კლიმატური პირობები დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი და ყოფილი მეფის რუსეთის დიდ სპეციალისტთა ყურადღებას იქცევდა. მაგრამ საკურორტო საქმის განვითარებით არსებითად არავინ არ იყო დაინტერესებული. მხოლოდ ცალკეული კერძო პირები ცდილობდნენ აფხაზეთის ბუნებრივი სიმშვენიერე კომერციული მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

კერძო პირთა ინიციატივით აქაიქ გაშენებულ სანატორიუმებსა და პანსიონატებში ისვენებდნენ და მკურნალობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მეფის მაღალი მოხელეები, თავადაზნაურობა, ხოლო მშრომელთა ფართო მასებისათვის ის მიუწვდომელი იყო.

მენშევიკების ბატონობის წლებში აფხაზეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების ყოველგვარი ცდა იხშობოდა. პირიქით გულრიფში და გაგრა გააოხრეს, გაძარცვეს. ამის გამო ეს მნიშვნელოვანი საკურორტო ადგილები თითქმის ჩაკვდნენ.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოს და აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკურორტო საქმის მოწესრიგებას, კურორტების რეკონსტრუქციას, მათ კეთილმოწყობას.

აფხაზეთის ასსრ-ის მთავარმა საკურორტო სამმართველომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა კურორტების კეთილმოწყობის, მათი რეკონსტრუქციისა და საკურორტო ადგილებში არსებული შენობების სანატორიუმებად და პანსიონატებად გადაკეთების საქმეში.

აფხაზეთის კურორტების განვითარებაში გარდატეხა მოხდა საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ. ყოფილი ფსირცხის მონასტერი, მთელი მისი მეურნეობის რეკონსტრუქციის შემდეგ, შეუერთდა საკურორტო ქსელს. ამ ღონისძიებამ სანატორიუმი 500 საწოლით გაადიდა, ხოლო პანსიონატი—200-ით. ამჟამად ფსირცხა ერთერთი უმშვენიერესი სამკურნალო ადგილია. ფსირცხა ყოველწლიურად ჩვენი დიადი სამშობლოს 10 ათას მეტ მშრომელს აღუდგენს ენერგიას.

განვლილი 17 წლის მანძილზე აფხაზეთის კურორტები დაიქსელა დასასვენებელი სახლებით, სანატორიუმებით, კულტურული დაწესებულებებით და წინათ დაჩაგრული, დამონებული მხარე — მზიანი აფხაზეთი გადაიქცა საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის სამჭედლოდ.

მარტო საკურორტო სამმართველოს ხაზით კურორტების რეკონსტრუქციასა და ახალ მშენებლობაზე დახარჯულია 19 მილიონ მანეთზე მეტი. რა თქმა უნდა, ამაში არ შედის საუწყებო ორგანიზაციების მიერ დახარჯული თანხები, რაც აგრეთვე მილიონობით იანგარიშება.

აფხაზეთის კურორტებს აქვთ 3.650 კეთილმოწყობილი საწოლი, სადაც 1937 წელს მკურნალობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული 40 ათასი ავადმყოფი და დამსვენებელი. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირები, ორდენოსნები, ფაბრიკების, ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები და წარჩინებული ადამიანები.

აფხაზეთის საუცხოო კლიმატურ პირობებს ერთვის ბალნეოლოგიური თვისებებიც. სამეცნიერო ექსპედიციამ ექიმ გრიგოლიას ხელმძღვანელობით აღმოაჩინა და გამოიკვლია 70-მდე მინერალური წყარო. საინტერესოა ე. წ. „უატხარას ბორჯომი“, რომელიც წარმოადგენს ნახშირმჟავა-ტუტე-რკინა - რადიუმიან წყაროს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკ-ის დადგენილებით სოხუმში უატხარას წყაროს ბაზაზე გახსნილია 25-საწოლიანი კლინიკური განყოფილება.

აფხაზეთის საკურორტო მეურნეობაში წარმატებანი დიდია, მაგრამ უეჭველად უფრო მეტი იქნებოდა, ჯანსახკომსა და საკურორტო სამმართველოში მოკალათებულ მავნებლებს საკურორტო საქმისათვის ზიანი რომ არ მიეყენებინათ.

1938 წელს კურორტების კეთილმოსაწყობად აფხაზეთის მთავარ საკურორტო სამმართველოს ხაზით დაიხარჯება 6 მილიონ მანეთზე მეტი. ამხანაგ სტალინის სახელობის სანატორიუმის კაპიტალურად შეკეთებაზე დაიხარჯება 200 ათასი მანეთი, გაგრის სანაპიროების გასამაგრებლად — ერთ მილიონ მანეთზე მეტი, დამთავრდება ახალი ელსადგურის მშენებლობა, სოხუმში მოეწყობა სამედიცინო პლიაჟი და სხვ.

აფხაზეთის კურორტებზე შექმნილია ყველა პირობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობისათვის. აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ერთერთ მთავარ საზრუნავს შეადგენს აფხაზეთის კურორტების შემდგომი გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ ისინი სავსებით აკმაყოფილებდნენ ჩვენი საამური და ბედნიერი ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს.

სანატორიუმი „აგუძერა“ (სოხუმის რაიონი), ახლად გაფორმებული პარკით.
ფოტო გ. მესხისა.

კრებები და მოხსენებები

მასწავლებლის სახლში. დღეს, 4 მარტს, საღამოს 8 საათზე შესდგება პროფ. ბ. თავზიშვილის ლექცია, თემაზე: „საქართველოს პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნეში“.

5 მარტს, საღამოს 8 საათზე, შესდგება პროფ. ს. ჯანაშიას პირველი ლექცია ციკლიდან: „საქართველოს ისტორია“.

6 მარტს, საღამოს 8 საათზე,—ს. აბულაძის ლექცია—„ნ. ნეკრასოვის ცხოვრება და შემოქმედება“.

* * *

5 მარტს, საღამოს 7 საათზე, განსახკომის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი (კოლხიდის ქ. № 5) იწვევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების აქტივის კრებას.

დღის წესრიგშია ქართული ენის ზმნის სწავლების საკითხები. დასწრება თავისუფალია.

* * *

5 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. გეოგრაფიულ საზოგადოებაში შესდგება პროფ. ა. ფ. ლაისტერის მოხსენება, თემაზე: „პაპანინელთა მოძრავი სადგური და მისი მეცნიერული შედეგები“.

დასწრება თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს შუქრი ხასანის-ძე დიასამიძეს, პლატონ სამსონის-ძე ჯაფარიძეს, კალისტრატე ჩხიკვაძეს, ნიკოლოზ სერგის-ძე მოსესოვს და სევერიანე ალექსანდრეს-ძე ფარცვალაძეს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის, 8) სამი დღის ვადაში.

* * *

4 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის შესდგება კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 1-ლი თავი. ქართულ და რუსულ ენებზე.

* * *

4 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა. აგიტატორების დასწრება სავალდებულოა.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში 4 მარტს, საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე, თემა: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. კონსულტანტები ამხ. ლიუდვიგოვი და ლარცულიანი.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს აკაკი ივანეს-ძე ნაცვლიშვილს, თეოფილე მაქსიმეს-ძე ბურჯალიანს, კონსტანტინე გიორგის-ძე ყურაშვილს და ივლიანე სოლომონის-ძე ჩიჩაგას გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის, 8) ამხ. კვიკვესკირთან (პირველი სართული, ოთახი № 5) სამი დღის ვადაში.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯაშუშური ცენტრის აღმოჩენის დაწვრილებითი ცნობები

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ სამი ფაშისტი ჯაშუშის დაპატიმრებით გამოაშკარავებულია მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ჯაშუშური ცენტრი ფართო განშტოებით, რომელიც ჯერ მთლიანად გამორკვეული არ არის. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, დაპატიმრებულებმა თავიანთ ჩვენებებში დაასახელეს მთელი რიგი სხვა პირები, რომელთაც პოლიცია დაეძებს. მოელიან ახალ დაპატიმრებებს. ამერიკის ხელისუფალნი, სწერს გაზეთი, დიპლომატიურად იხსენიებენ „ერთს ევროპულ ქვეყანას“, მაგრამ პრესა აშკარად იუწყება, რომ ყველა დაპატიმრებული ჯაშუში გერმანელი არის. სარწმუნო წყაროდან მიღებული ცნობით, — განაგრძობს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, დაპატიმრებულები იყვნენ წევრები გერმანიის ჯაშუშური ჯგუფისა, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო ჯაშუშური ორგანიზაციის შექმნას.

ჯაშუშმა რუმრიხმა აჩვენა, რომ ამ ჯგუფის სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნა გერმანიაში. ჯგუფი ამზადებდა ტოტენის ფორტის (რომელიც ნიუ-იორკის მისასვლელებს იცავს) უფროსის პოლკოვნიკ ეგლინის მოკვლას იმ მიზნით, რომ მოეტაცნათ მისთვის სამობილიზაციო გეგმები. რუმრიხი გამოტყდა, რომ ის თავის გერმანელ ბატონებს აწვდიდა ცნობებს პანამის არხის დაცვის შესახებ, სადაც იგი მსახურობდა ამერიკის ჯარში თავისი დეზერტირობის მომენტამდე. ნიუ-იორკის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუმრიხი გამოტყდა აგრეთვე იმაში, რომ მან თავისი ევროპელი ბატონებისაგან მიიღო დავალება, აღმოეჩინა დახმარება ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები თავისი ძმისათვის, რათა მას მიეღო ვიზები სხვა გერმანელ ჯაშუშთათვის, რომელნიც მიემგზავრებოდნენ საბჭოთა კავშირში, ვითომ როგორც ამერიკელი მოქალაქეები. რუმრიხი დააპატიმრეს იმ მომენტში, როდესაც ის, ასაღებდა რა თავს ა. შ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელედ, ცდილობდა მიეღო ამერიკის 50 საპასპორტო ბლანკი სსრ კავშირში გამოგზავნილ ჯაშუშთათვის. არსებული ცნობებით, დაპატიმრებული ჯაშუშები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ იმ მასალებისადმი, რომლებიც შეეხებოდა ა. შ. შტატების ატლანტიკის სანაპიროს და პანამის არხის დაცვას, ცდილობდნენ დაეტყუნებინათ ა. შ. შტატების სამობილიზაციო გეგმები, გამოემჟღავნებინათ სამხედრო ავიაციისა და არტილერიის საიდუმლოებანი, აგრეთვე ხელში ჩაეგდოთ ავიამზიდთა ნახაზები. გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ—ეშოვნათ პასპორტები სსრ კავშირში გამოგზავნილ ჯაშუშთათვის.

ჯაშუშ-ქალს ჰოფმანს, რომელიც მგზავრობდა გერმანიის გემ „ევროპით“, ვითომდა როგორც პარიკმახერი, უპოვნეს წერილი, რომელშიც მოითხოვდნენ გადაეხადათ ათასი დოლარი ინფორმაციისათვის უახლეს ავიამზიდთა შესახებ, წიგნი შიფრით, აგრეთვე ხელწერილები იმ ინფორმაციისათვის, რაც უკვე გაგზავნილი იყო საზღვარგარეთ.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, ჯაშუშები ნიუ-იორკის რაიონში ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდნენ 1936 წლის ივლისიდან. კერძოდ, ისინი 6 თვის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს სამხედრო აეროდრომს „მიტჩელ ფილდს“, სადაც თავმოყრილია დიდძალი ფრიად მნიშვნელოვანი საიდუმლო საავიაციო გამოგონებანი, მათ შორის ხელსაწყო ავტომატური და ზუსტი ბომბარდირებისათვის. საჰაერო ფლოტის ერთმა თვალსაჩინო ოფიცერმა გამოააშკარავა რამდენიმე ჯაშუში, რომელთაც გაჩხრეკის დროს უპოვნეს თვითმფრინავების გეგმები და ფოტოგრაფიები. ამას წინათ ამ აეროდრომიდან მოიპარეს საიდუმლო შიფრი. ჯაშუში გლაზერი დააპატიმრეს ამ აეროდრომზე, სადაც ის მსახურობდა, როგორც ამერიკელი ჯარისკაცი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ყოველივე ამასთან დაკავშირებით ამჟამად აეროდრომის სამხედრო დაცვა მეტად გაძლიერებულია.

დაპატიმრებულ ჯაშუშებს წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ ისინი „აწვდიდნენ უცხო სახელმწიფოს მთავრობის აგენტებს ცნობებს ა. შ. შტატების თავდაცვის შესახებ“. ასეთ დანაშაულს ომის დროს თანმოსდევს სიკვდილით დასჯა, ხოლო მშვიდობიან დროს პატიმრობა 20 წლის ვადით.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

რესპუბლიკელთა არტილერიამ გაანადგურა მეამბოხეთა პოზიციის სიმაგრენი კასა დე ლა ლეგუაში (ტოლედოს მიდამოებში).

მადრიდის ფრონტზე კარაბანჩელის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა 28 თებერვალს ააფეთქეს ორი ნაღმი კოლონია დელ კომერსიოს რაიონში. განადგურებულია მეამბოხეთა მოწინავე სადარაჯოების სიმაგრენი. რესპუბლიკელებმა დაიკავეს აფეთქების რაიონი და ხელთ იგდეს სამი ტყვიამფრქვევი და მრავალი შაშხანა. მეამბოხეთა კონტრიერიშებს, რომლებიც ცდილობდნენ რესპუბლიკელთა განდევნას მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან, წარმატება არ ჰქონია.

აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ჰიტლერელები მოითხოვენ ძალაუფლების მათთვის გადაცემას

ვენა, 2 მარტი (საკდესი). ავსტრიელი ჰიტლერელები არ კმაყოფილდებიან ავსტრიის მთავრობის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან — „სამშობლოს ფრონტთან“ „თანამშრომლობის“ შესაძლებლობით, რაც გათვალისწინებულია შეთანხმებით ჰიტლერსა და შუშნიგს შორის. ჰიტლერელები მოითხოვენ ძალაუფლების მათთვის გადაცემას.

პარიზი, 2 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გრაციდან (შტირია) იუწყება, რომ გუშინ საღამოს იქ ჩავიდა ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრი ზეის-ინკვარტი და დაუყოვნებლივ შეუდგა მოლაპარაკებას ადგილობრივი „ნაციონალ-სოციალისტებისა“ და „სამშობლოს ფრონტის“ ხელმძღვანელებთან.

დღის განმავლობაში ვენიდან შტირიაში ჩავიდნენ ახალი ჯარები. აეროდრომზე მივიდა თვითმფრინავების რამდენიმე ესკადრილია. ჰიტლერელებმა დემონსტრაცია მოაწყვეს ზეის-ინკვარტის მისვლის გამო.

კორესპონდენტების ცნობებით, ავსტრიელ ჰიტლერელთა ხელმძღვანელებმა წარუდგინეს ზეის-ინკვარტს მთელი რიგი მოთხოვნანი, რომლებიც მოასწავებენ მათი საქმიანობის სრულ ლეგალიზაციას და მთავრობის ორგანიზაციის — „სამშობლოს ფრონტის“ მათი ხელმძღვანელობისათვის დაქვემდებარებას.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

4/III	მუდმ. ადგ. ტალ. № 122 ჯამბაზები და საბალეტო დივერტისმენტი
5/III	მუდმ. ადგ. ტალონი № 123 ერთდრ. ბილეთის სერია № 2 კარმენ
6/III	ერთდრ. ტალ. № 2 დილით დაისი დასაწყ. დღის 12 საათზე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

4/III	წარმოდგენა 114 ოტელო
5/III	წარმოდგენა 115 ნაპერწკლიდან
6/III	დღის წარმოდგენა ალკაზარ დასაწყისი დღის 12 საათზე

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

4/III წარმ. № 114	მერი
5/III წარმ. № 115	მერი

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება საღამოს 6 საათიდან. ორჯონიკიძის ქ., № 49, მე-26 სკოლა, მე-II სართული. 17709

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
4, 5 და 6 მარტს, ტალონები № 61, 62, 63
სომხეთის სსრ სიმღერების, ცეკვისა და მუსიკის საღამოები
შოღიკ მკრტიჩიანისა და ვაჰარშაკ სააკიანის
მონაწილეობით
ხალხური საკრავების ანსამბლი გ. მირზოიანის ხელმძღვანელობით
ხალხური ცეკვების ანსამბლი ედ. მანუკიანის ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: ლენინაკანური, ლორიული და შახტახტური ცეკვები.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს. 17707

სახცირკი, ტელ. 3-11-44
დღეს, 4 მარტს
სატირკო წარმოდგენა
განახლებული პროგრამით.
სატირიკოს იგორ იუჟინის უკანასკნელისწინა გამოსვლა, აგრეთვე ცირკის მთელი დასი.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
6 მარტს, წარმოდგენა დღისით. დასაწყ. დღის 2 ს.

დღეს საქინომრეწველოს თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვანი ფილმი „უშიშარი“ დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11
სპარტაკი	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ვოლოჩაევკის დღეები“ დასაწყ. 6-30.
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი სასპორტო კომედია „მეკარე“ დასაწყ. 6-30
კომკავშირელი რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ახალი ხმოვ. ფილმი ხვალ თუ ომი იქნა სეანსები—6-30, 8, 9-30, 11
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვ. მხატვრული ფილმი „ვოლოჩაევკის დღეები“
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვ. მხატვრული ფილმი „დარიკო“ დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ახალი ხმოვ. ჟურნალი № 6.

თბილისის საქალაქო რკინ გზებისა და ტროლეიბუსებ ს ტრესტი
აცნობებს მოქალაქეებს, რომ პირველი მარტიდან ტროლეიბუსით მგზავრობისათვის შემოღებულია შემდეგი ტარიფი:
ა/ქ. ფედერაციის მოედანი—კიროვის სახ. პარკი—25 კ.
კიროვის სახ. პარკი—დინამოს სტადიონი—25 კ.
ა/ქ. ფედერაციის მოედანი—დინამოს სტადიონი—50 კ.
დინამოს სტადიონი—კარლ მარქსის მოედანი—25 კ.
1047 თბ. საქ. რკინიგზების დირექცია.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას ოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელ ნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 268.